ეროვნული ბიბლიოთეკა

პრჩილ ჯანაშვილი

ინგილოების წეს-ჩვეულებანი

<ძორწილი>

ა. ჯანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგილოების წეს-ჩვეულებანი

(ძოგრაფილი)

K217.00813
F67.673/3

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1991

63.5(2Г)
ჯ 202

საინგილოს ქართველთა შესახებ მრავალი მეცნიერული გამოკვლევა არსებობს. მათ ხომ, 1442-1587 წლებიდან სამშობლოს მოწყვეტილებმა, შემოინახეს ქართული სული და, როგორც მოსე ჯანაშვილი აღნიშნავდა, „ისევ დაშთნენ ქართველებად“.

პროფ. ა. ჯანაშვილის წინამდებარე ნაშრომი მეტად აქტუალური და საყურადღებოა. ავტორის მიერ აღწერილი საქორწინო რიტუალები ინგილოთა ყოფიდან შედეგია მეცნიერის მრავალწლიანი პირადი დაკვირვებისა, რომელსაც პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

რედაქტორი: მიხეილ ყ უ ლ ო შ ვ ი ლ ი
რეცენზენტები: საქართველოს მეც. აკად. წ/კ შ ა მ ი ლ ა ძ ე
დოც. ზ. კ უ ტ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი

Арчил Габриелович Джанашвили

СВАДЕБНЫЙ ОБРЯД У ИНГИЛОЙЦЕВ

(на грузинском языке)
Тбилиси 1991

Издательство Тбилисского университета

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991

0505000000
Д ——————
608(06)91

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან

პროფესორი არჩილ გაბრიელის ძე ჯანაშვილი (1904-1985 წწ.) ცნობილი ქართველი ბუნებისმეტყველი (ზოოლოგი) იყო. მან საქართველოს ფაუნის შესწავლას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები ხერხემლიანთა ზოოლოგიის დარგში, გაამდიდრა ქართული ბუნებისმეტყველება ზოოლოგიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებითა და სისტემატიზაციით. ამასთანავე იყო საქართველოს ცხოველთა სამყაროს „წითელი წიგნის" შედგენის აქტიური მონაწილე.

არანაკლებ ყურადღებას უთმობდა ა. ჯანაშვილი მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციას ცხოველთა შესახებ, რაც თავისთავად უაღრესად კეთილშობილურ მიზნებს ისახავდა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, იგი სხვა საქმიანობასაც ეწეოდა. არჩილ ჯანაშვილს თავის მორალურ მოვალეობად მიაჩნდა მშობლიური კუთხის — საინგილოს — წარსულსა და აწმყოზე ზრუნვა. მეტად საყურადღებოა მეცნიერის მიერ საინგილოს ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მასალების ფიქსაცია. იგი ძალიან წუხდა, რომ თანდათან აღარ იყვნენ ის ადამიანები, ვისაც შეეძლო ძვირფასი მასალების მიწოდება მეცნიერებისათვის საინგილოს ძველი ყოფისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ.

1966 წელს ელენე ყულოშვილის გარდაცვალებამ ა. ჯანაშვილს ძწუხარებით ათქმევინა: „დასანანია, საინგილოს ფოლკლორი დაიხურა ელენეს სახით, ვერ მოვასწარით მისი ჩაწერა". მაგრამ მცირედიც კი, რაც ამ დარგში ჯანაშვილმა დაგვიტოვა, უდავოდ ძვირფასია საინგილოს ყოველმხრივი შესწავლის თვალსაზრისით.

წინამდებარე გამოკვლევა ინგილოური ქორწილის შესახებ ინგილოთა ახლო წარსულის ეთნოგრაფიული ფაქტია. გამოკვლევა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გამოუქვეყნებელი დარჩა ავტორს, ინგილოთა ისტორიული ყოფის შესწავლისათვის საჭირო საქმედ მიგვაჩნია.

ინგილოების ძველ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს შორის ყველაზე მეტად ეროვნული თავისებურებები და ელფერი ქორწილში იყო შემორჩენილი, რასაც ისინი ასეული წლების განმავლობაში გარეშე მტრების თავდასხმების, აწიოკება-აოხრების მიუხედავად სათუთად იცავდნენ.

ნაშრომში წარმოდგენილია ქორწინების ინსტიტუტი, რომელიც საინგილოში მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამჟამად მისი მხოლოდ ანარეკლია შემორჩენილი.

ინგილოური ქორწილი, წერს ზ. ედილი, „სავსებით მოგვაგონებს ძველებურ ქართულ მამაპაპურ ქორწილს, რომელიც თავისი პირვანდელი სახით საინგილოში შემონახულა“[1].

სამწუხაროდ, დიდხანს იყო შემორჩენილი მეტად არასასურველი „ტრადიცია“, სიძის ოჯახი მოვალე იყო საპატარძლოს ოჯახისათვის გადაეხადა ფული, ასე ვთქვათ, პატარძლის „საფასური“. ზ. ედილის თქმით, „რამდენადაც ქალი ლამაზია და კარგი შეძლებული ოჯახიდან, მით უფრო მეტია ეს გადასახდელი. იგი ძველად 200 მანეთიდან 1000 მანეთამდე ადიოდა“[2]. 13-14 წლის ასაკში, 2-3 წლით ადრე დანიშნავდნენ გოგოს (არა ნათესავს). დანიშნულს მარტო სიარული ეკრძალებოდა, კოხტად გამოწყობილს, წყალზე მიმავალს დედა, და, ძმა, ბიცოლა, მული ან სხვა ვინმე უნდა გაჰყოლოდა. ყველა ხვდებოდა რომ გამოწყობილია (დანიშნული). სასიძოს მხრიდან, საპატარძლოს ოჯახში მიჰქონდათ რამოდენიმე ფუთი მატყლი, ფქვილი, ღვინო, ქსოვილები, ტკბილეულობა, მიჰყავდათ ცხვარი ან საქონელი, რათა საპატარძლოს წინასწარ მოემზადებინა მზითევი, გაერეცხა მატყლი, დაეჩეჩა, დაერთო ბაწარი (ძაფი) და შეეღება (ღებვა ექვს ფერზე იცოდნენ), მოექსოვა ჯეჯიმი 10-15 ცალი. 50-100 წყვილი დაქარგული წინდა, ხურჯინი, ტოლაღები, ქალმის ზონრები, ესწავლა ბოსტნის მოვლა, ბავშვის აღზრდა და სხვა. ხშირად მამა ვერ ელეოდა უზრუნველყოფილ ქალიშვილს და დიდი ხნით სდებდა ქორწილს.

---

[1] ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1977, გვ. 95.

[2] იქვე, გვ. 98.

ჩვეულებრივ, ქორწილი იმართებოდა ხოლმე გიორგობის (10 ნოემბრის) დღესასწაულის შემდეგ (ზოგჯერ ცოტა ადრეც) და მთავრდებოდა შობის მარხვის დაწყებამდე, იშვიათად სხვა დროსაც.

სიძის ოჯახში ქორწილი გრძელდებოდა ოთხ დღეს: მემზანაგეების[1] ქორწილი, პატარა ქორწილი, დიდი ქორწილი და ფეხზემდგომელების ქორწილი. საპატარძლოს ოჯახში ქორწილი მხოლოდ ერთ დღეს იმართებოდა.

ქორწილამდე ერთი კვირით ადრე პატიჟებდნენ სტუმრებს. ამ საქმეს ავალებდნენ 16-18 წლის ჭაბუკებს. დგებოდა 5-6 ჯგუფი ორ-ორი კაცის შემადგენლობით. მასპინძელი კონკრეტულად ავალებდა ვის ვინ უნდა მოეპატიჟა. წერა-კითხვა უმრავლესობამ არ იცოდა და, ცხადია, სტუმრების „სიასაც“ ზეპირად იმახსოვრებდნენ.

მოპატიჟეები მიადგებოდნენ ჭიშკარს (მის მაგიერ ზოგს ღია „ხერხლები“ ჰქონდა) და ეძახდნენ მასპინძელს. უხმობდნენ ოჯახის უფროსს, თუ იგი სახლში არ იყო, მაშინ მეორედ უნდა მისულიყვნენ. ამასთან დაუბარებდნენ, რომ „სახლი დიდთან“ (ოჯახის უფროსთან) აუცილებელი საქმე გვაქვს და შინ დაგვხვდესო. არსებული წესის მიხედვით, თუ ოჯახის უფროსს პირადად არ დაპატიჟებდნენ, იგი განაწყენდებოდა და ქორწილში არ წავიდოდა არც თვითონ და არც ოჯახის წევრები, თუნდაც ქორწილი მეზობლად, ღობის გადაღმა ყოფილიყო.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არავინ დახვდებოდათ, მოპატიჟეები ჭიშკარზე (ან „ხერხლებზე“) მიაკრავდნენ ტალახის მოზრდილ „ბორტოს“ (გოხს), რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ვიღაცა საქმეზე ყოფილა. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა, რომ მასპინძლისათვის ბარათი დაეტოვებინა, სწორედ ეს ტალახის გოხი წერილის, ასე ვთქვათ, „სადარბაზო ბარათის“ მაგივრობას ასრულებდა, ხოლო, თუ ოჯახის უფროსი მოპატიჟეებს შინ დახვდებოდა კითხვით მიმართავდა:

„რაშია საქმე, ბიჭებო, რისთვის მოხვედით? მოდით სახლში, მესტუმრეთო“.

---

[1]ქორწილის ღამეს სასიძოს სახლში სადედოფლოს ოჯახიდან გაგზავნილი კაცები, ქორწილის მახარობელნი, რომელთაც პატარა პურმარილს გაუმართავდნენ ვაჟის ოჯახში, მიართმევდნენ ფლავს (რედ).

სურ. № 1 მაყრალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲰᲐᲢᲘᲥᲔᲔᲑᲘ აცნობდნენ, რომ მავანსა და მავანს ამა და ამ დღეს ქორწილი აქვს და გეპატიჟებათ შენ, შენს მეუღლეს, ოჯახის ყველა წევრს (დიდსა და პატარას), აკვნის ჩვილ ბავშვსაც კი და შენს სტუმრებს. ამას იმიტომ უმატებდნენ, რომ დაპატიჟებულს სტუმრების ყოფნა არ მოემიზეზებინა და ქორწილში წასვლაზე უარი არ ეთქვა.

ამის შემდეგ მასპინძელი მოპატიჟეებს იწვევდა სახლში, უმართავდა სახელდახელო მაგიდას, მიართმევდა მწვადებს, ტოლმას, ყველს, პურს და ღვინოს. სვამდნენ სამ სადღეგრძელოს. მასპინძელი ადღეგრძელებდა ნეფე-დედოფალს, მათ უსურვებდა ხანგრძლივსა და ბედნიერ სიცოცხლეს, ბევრი და კარგი შვილის გაზრდას, გახარებას, წყვილად და თეთრად დაბერებას, ბედნიერებას და სხვა. მეორე სადღეგრძელო ეკუთვნოდა ქორწილის მომწყობს, რომელმაც პატივი დასდო და ქორწილში დაპატიჟა, ხოლო მესამე, ახალგაზრდა ᲛᲝᲰᲐᲢᲘᲥᲔᲔᲑᲘᲡ. ამის შემდეგ მასპინძელი თვლიდა, რომ იგი ქორწილში დაპატიჟებულია, მოპატიჟეს შეუთვლიდა, რომ აუცილებლად პატივს დასდებდა ოჯახს თავისი მისვლით. ამ ცერემონიის გარეშე კი იგი თავს დაპატიჟებულად არ მიიჩნევდა.

მ. ჯანაშვილს ქორწინების ზემოთ აღნიშნული ცერემონია რამდენადმე სხვაგვარად აქვს მოთხრობილი[1], რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ სხვადასხვა სოფელში აღნიშნული ტრადიცია განსხვავებულად სრულდებოდა.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ასეთი სტუმრიანობის შემდეგ მოპატიჟეები დათვრებოდნენ და თავიანთ დავალებას ბოლომდე ვერ შეასრულებდნენ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინგილოები ღვინოს სვამდნენ არაწით[2] და, როგორც წესი, მათ ღვინის სმის დაძალება არ იცოდნენ (არც ახლა იციან). ამგვარად, ვინ რამდენს სვამდა .არავინ იცოდა, არც იმას ამოწმებდნენ, საერთოდ დალია თუ არა. ამიტომაც მოპატიჟეები არ თვრებოდნენ და დავალებასაც პირნათლად ასრულებდნენ.

---

[1] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საინგილო, ტფილისი, 1910. გვ. 96.

[2] არაწი — განიერპირიანი (ზოგჯერ ვიწროპირიანი) ყურიანი თიხის ჭურჭელი, ჭინჭილისებური (200—250 გრამის ტევადობისა; არის დიდი არაწიც ერთ ლიტრამდე ტევადობისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ასეთი ჯგუფი დღეში 10-12 ოჯახს დაპატიჟებდა, მაშინ ორი-სამი დღის განმავლობაში ყველა ის, ვისი სტუმრობაც მასპინძელს სურდა, მოწვეული იქნებოდა. ზოგჯერ ქორწილში პატიჟებდნენ ხოლმე 100-300 სულს. ეს კი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ქონების პატრონი იყო ქორწილის გადამხდელი.

ქორწილში პატიჟებდნენ ნათესავებს. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ სასიძოს ნათესავი ენათესავებოდა საპატარძლოსაც. მაშინ ასეთი ნათესავის დაპატიჟება სასიძოს მხარეს ეკუთვნოდა. პატიჟებდნენ მეზობლებს, თანამდებობის პირებს: ბოქაულს, მის თანაშემწეს, მამასახლისს, მასწავლებელს, ექიმს, ფერშალს, აფთიაქარს, ფოსტის მოხელეს, აქციზის ჩინოვნიკს, აგრონომსა და სხვა. მღვდელსა და დიაკვანს სტუმართა შორის საპატიო ადგილი ეკავათ. ბუნებრივია, რომ ყველა სოფელში ასეთი მუშაკები არ იყვნენ და მასპინძელიც, ცხადია, მათ ვერ დაპატიჟებდა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქორწილის ყველა მომწყობს იმის შესაძლებლობა არა ჰქონდა, რომ ამგვარი „მაღალი" საზოგადოება დაეპატიჟა. სტუმრების შესაბამისად მარაქაც[1] ორ ნაწილად იყოფოდა: სუფრის თავში ისხდნენ ხოლმე „წარჩინებულნი" და საპატიო სტუმრები, ხოლო ბოლოში ხელმოკლე და საწყლები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქორწილში მისული სტუმრების ჩაცმულობას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მართალია, ზოგიერთი ახალგაზრდა გამოეწყობოდა ხოლმე ახალ შარვალსა და ჩოხა-ახალუხში, შესაძლებელია ჩექმებიც ცმოდა, მაგრამ უმრავლესობა მიდიოდა იმავე დახეული და დაბრანძული ტანსაცმლით, რომელსაც ათგან და მეტგან ნაირგვარი საკერებელი „ამშვენებდა", დახეული ქალამნებით, რომლებითაც იგი სამუშაოზე დადიოდა. ასეთი ჩაცმულობა არასდროს გამხდარა საძრახისად.

ქორწილისთვის აცხობდნენ დიდძალ პურს (შოთებს), ნაზუქებს, ჩვეულებრივსა და წითელ ლავაშებს[2], ქადებს, სხვადასხვა სახის „კოკოებს" (კოკორებს), იმარაგებდნენ ხორცს (კლავდნენ ერთ ან ორ ძროხას, რამდენიმე ყოჩს, ქათმებს, ზოგჯერ ინდაურებსაც),

---

[1] მარაქა — ლხინში, ქორწილში ან სხვა დროს თავმოყრილი მომლხენი (რედ).

[2] ჩვეულებრივ, ლავაშებს კვერცხის გულს უსვამდნენ და ისე აწითლებდნენ. უფრო მეტად იგი ყვითელ ფერს ღებულობდა და არა წითელს.

სურ. № 2 ივანე ყულოშვილის ოჯახი (საინგილო)

ღვინოს, ყველსა და სხვა სახის საჭირო სანოვაგეს. ქორწილის დროს სანოვაგის ძებნა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, მიიჩნევდნენ, რომ მასპინძელი ძუნწია და არასტუმართმოყვარე, რასაც შემდეგ სოფლად სალაპარაკოდ გახდიდნენ, ეს კი ცხადია, მასპინძელს სასიამოვნოდ არ დარჩებოდა.

ქორწილის წინა დღეს სასიძოს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს უგზავნიდა ნახევარ (თუ პატარა იყო, მაშინ მთელ) ძროხას, ერთ თაღარ[1] ღვინოს, ფქვილსა და სხვა სანოვაგეს, რაც ქორწილისათვის აუცილებელი იყო. ყოველივე ამას ითხოვდა საპატარძლოს მშობელი, იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის სტუმრები ჰყავდა მიწვეული.

როგორც ვხედავთ, საპატარძლოს ოჯახის საქორწილო საკვები პროდუქტებით მომარაგება და უზრუნველყოფა სიძის მხარეს ეკისრებოდა.

ქორწილი იმითი იწყებოდა, რომ საღამო ხანს საპატარძლოს ოჯახიდან სიძის ოჯახში მიდიოდა სამი „მემზანაგე" — ახალგაზრდები, სასიძოს ტოლები, მათთან ერთად იყო მაჭანკალიც. ესენი არიან ერთგვარი „მზვერავები" იმის დასადგენად, თუ რამდენადაა მომზადებული სასიძოს ოჯახი ქორწილისათვის. გარდა ამისა აქ იყვნენ სასიძოს ძმები, ახლო ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, ზოგჯერ მათი რაოდენობა 20-30 სულამდე (და მეტსაც) აღწევდა.

მემზანაგეები მასპინძელს უკვეთდნენ კარგი ფლავის, ტოლმის, მწვადებისა და სხვათა მომზადებას. მასპინძელი ვალდებული იყო მემზანაგეების ყველა მოთხოვნა შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწილის დროს საჯაროდ სალაპარაკოდ გახდიდნენ მის სიძუნწეს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ საკვების შეკვეთის უფლება მხოლოდ მემზანაგეებს ჰქონდათ, დანარჩენ სტუმრებს ამის უფლება არ ეძლეოდათ.

თუ მასპინძელს საჭმლის მაგიდაზე მიტანა უგვიანდებოდა, მაშინ მემზანაგე ცარიელ ქვაბს (ან ტაფას) ცეცხლზე დებდა. ამის გამო დიასახლისი შეიცხადებდა და იტყოდა:

---

[1] თაღარი უდრის 15 ჭედროს.

— ვაი, დაიწვა ჩემი ქვაბი (ან ტაფა)!

მემზანაგე კი უპასუხებდა:

— თუ ქვაბის (ან ტაფის) დაწვა არ გინდა, მაშინ შიგ ხორცი ჩაყარე.

მასპინძელიც იძულებული ხდებოდა ქვაბში (ან ტაფაში) ჩაეყარა ხორცი, დაედგა ტოლმით სავსე ქვაბი, შეეწვა მწვადები, მოეხარშა ფლავი, აეხადა ახალი ქვევრი. ცხადია, შემდეგ იმართებოდა ქეიფი, რაც მეტწილად დილამდე გრძელდებოდა.

მასპინძელი ცდილობდა მემზანაგეების დათრობას და დაძინებას, ხოლო უკანასკნელნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მასპინძლის ანკესს არ წამოგებოდნენ და არ დამთვრალიყვნენ, რაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ზოგჯერ კი სტუმრები ვერ უძლებდნენ მოძალებულ ღვინის სმას, თვრებოდნენ და იძინებდნენ. მათ ერთმანეთზე მიაკერებდნენ ან შეუკრავდნენ ხელ-ფეხს, რაც ქორწილში სალაპარაკო ხდებოდა.

ქეიფის დროს უკრავდნენ ჩონგურს, ბუზიკანს (პატარა გარმონს), გარმონს, სალამურს, სტვირს. იყო ცეკვა-თამაში, სიმღერა. ამით მთავრდებოდა მემზანაგეების ქორწილი.

მეორე დღეს იმართებოდა ე. წ. „პატარა ქორწილი". ამავე დღეს ქორწილი იმართებოდა საპატარძლოს ოჯახშიც.

სიძის მხრიდან პატარძლის ოჯახში სტუმრების მიყვანა ევალებოდათ მემზანაგეებს. მათი რაოდენობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრული იყო: 20 მაყარი ქალი, რომლებსაც „ჰენგები"[1] ეწოდებოდათ, ესენი იყვნენ ნეფის ნათესავები, მეზობლები, მეგობრები. ერთი მათგანი — უფროსთაგანი — იყო მთავარი ჰენგა.

ზ. ედილის თქმით, ზოგჯერ ჰენგების რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო 50[2], რაც, შეიძლება, ძალზე იშვიათი იყოს: ძნელი წარმოსადგენია ქორწილის პატრონის უბანში, თუნდაც მთელ სოფელში, ჰენგებისათვის საჭირო რაოდენობის ცხენების შოვნა.

---

[1] ჰენგა მაყრიონი — პატარძლის მოსაყვანად ვაჟის სახლიდან წასული და საპატარძლოს სახლიდან მოყოლილი ქალები. (რედ.)

[2] ზ. ე დ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

ჰენგებს ახლდა შვიდი ჭაბუკი, სიძის ახლო ამხანაგები, მეგობრები, მეზობლები. მათ „გატანებული“ ერქვათ. მათთან იყვნენ მაჭანკალი და ერთიც წარჩინებული სტუმართაგანი.

ჩვეულებრივ, ჰენგები ცხენებზე სხდებოდნენ, ხოლო სხვები ფეხით მისდევდნენ. ცხენზე იჯდა აგრეთვე პატარძლის ცხენზე გაპიროვნებული მეაღვირე, ჰენგებს თან მიჰყვებოდნენ მეაღვირეებიც, რომლებსაც ევალებოდათ ჰენგების ცხენების მოვლა-პატრონობა პატარძლის ეზო-ყურეში. მთავარი ჰენგის ცხენზე ეკიდა ვეებერთელა ხურჯინი, რომლის ერთ თვალში ელაგა პატარძლის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი (ქოშები ან ჩუსტები, ახალი კალოშები და სხვა ვერცხლის თავისებური სამკაული), ხოლო მეორე თვალში იყო 6-7 ნაზუქი, დიდი „სატუნე“[1], ერთი კუჭულა[2] (დოქი) ღვინო.

მემზანაგეებს მხარზე გადებული ჰქონდათ გრძელი შამფურები, რომლებზეც წამოგებული იყო ქათმები, სამწვადე ხორცი, სატუნე.

გატანებულებს თან მიჰქონდათ გრძელ შამფურებზე წამოგებული ორი მოხარშული ქათამი, შვიდი ნაჭერი სამწვადე ხორცი, ორი დიდი სატუნე, ერთი „კლავი“ (მხარი), „ყახაჯი“ (გამხმარი ლორი), ერთი კუჭულა ღვინო[3].

ცხადია, საპატარძლოს ოჯახს ჰყავდა თავისი სტუმრები: ნათესავები, მეზობლები და სხვ.

ყველა მამაკაცს ქამარზე ხანჯალი ეკიდა, ხოლო რამდენიმეს (ზოგჯერ უმრავლესობას) ჰქონდა თოფი. როგორც ჩანს, ეს ძველი დუხჭირი დროის გადმონაშთი იყო, როდესაც გზაზე ათასგვარი ავაზაკები ესხმოდნენ ხოლმე საზეიმო პროცესიას და იტაცებდნენ პატარძალს. ცხადია, საჭირო ხდებოდა თავდაცვა და მტრის მოგერიება, რაც ხშირად დიდძალი მსხვერპლით მთავრდებოდა და საქორწილო ზეიმი სამგლოვიარო პროცესიად გადაიქცეოდა ხოლმე.

სასიძოს ჭიშკრიდან გამოსვლისთანავე გაისვრიდნენ თოფს, აჰყვებოდა დოლ-ზურნა (თუმცა დოლ-ზურნა მანამდეც უკრავდა ხოლმე სასიძოს ეზოში). პირველ რიგში მიდიოდნენ დამკვრელები, ნე-

---

[1] „სატუნე“ — ბარძაყის ძვლის მოზრდილი ნაჭერი (ტაბუხის ძვლის ნატეხი).

[2] ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[3] მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

ფის მეჯვარეები, მეგობრები, ამხანაგები, ჰენგები (მათ შორის ყველაზე წინ მიდიოდა მთავარი ჰენგა), გატანებულები და სხვანი.

ჰენგები და მათი თანმხლებნი ძალზე ნელა მიდიოდნენ, არა უმეტეს ორი-სამი კილომეტრისა საათში.

აქ მინდა მოგითხროთ ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც მკითხველისათვის საინტერესო იქნება:

ერთხელ, პატარძლისაკენ მიმავალი ჰენგების დოლ-ზურნის ახმაურებისთანავე გარდაიცვალა მეზობელ სახლში მცხოვრები პატარძლის უფროსი ბიცოლა. ქალის მამამ სასწრაფოდ კაცი გაგზავნა, მუსიკა შეაჩერებინა. ეს რომ უფროსმა ბიძამ, ჭირისუფალმა გაიგო, მაშინვე მიუხტა თავის ძმას, სასტიკად დატუქსა და უბრძანა, რომ ახლავე განეახლებინათ დოლი და ზურნა. პატარძლის მამა საგონებელში იყო ჩავარდნილი და ვერ გადაეწყვიტა, თუ როგორ ძოქცეულიყო. მაშინ უფროსმა ძმამ ხელი წაავლო იქვე ვიღაცის ცხენს, ზედ შესვა ახალგაზრდა და უბრძანა, რომ დამკვრელებისთვის შეეტყობინებინა მისი გადაწყვეტილება. შიკრიკი ჰენებით წავიდა. არ გასულა ხუთი წუთი და მუსიკა კვლავ მთელი ძალით ახმაურდა. ძმამ თავის ძმას უსაყვედურა, რომ „როგორ შეიძლება ბავშვის ბედნიერების გაუკულმართება, არ მომკვდარიყო კარგი იყო, მაგრამ მოკვდა და რაღა გაეწყობაო". ჰენგები თავისი ამალით მოვიდნენ და როგორც წესი მოითხოვდა, პატარძალიც წაიყვანეს თავის დროზე. პატარძლის ეზოდან გასვლისას ჭირისუფალი ბიძა მოვიდა, თავისი ძმისწული დალოცა, ბედნიერება უსურვა და წავიდა თავის სახლში, მიცვალებულის დაკრძალვის მზადებას შეუდგა.

სხვათა შორის, მეორე დღეს ქელეხში ბიძას უთხრეს, რომ პატარძლიანთა ბევრი სანოვაგეა დარჩენილი და იქნებ აქ მოვიხმაროთო. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბედნიერი სუფრის უბედურებისათვის გამოყენებაო; არ შეიძლება ბედნიერი ბავშვის ბედის გაუკულმართებაო. ცხადია, ამის შემდეგ ბიძასთან კამათი ზედმეტი იყო.

აი, სტუმრები დოლ-ზურნის დაკვრით მიადგნენ საპატარძლოს ოჯახის ჭიშკარს (ან ხერხლებს). იგი გულდაგულაა დაკეტილი. მის უკან ხალხია შეკრებილი და არის ერთი ყიჟინა და ჟრიამული. ერთ-ერთ ახალგაზრდას ხელში უჭირავს გრძელი ალატი — ჭოკი, რომლის წვერზე წამოცმულია ხახვი (ან ვაშლი, ან ტაბუხის ძვლის

ნატეხი). ამ ჭოკს იგი სხვადასხვა მიმართულებით აქანავებს. სტუმრებმა თოფის გასროლით ეს სამიზნო უნდა ჩამოაგდონ, რის შემდეგაც მათ კარებს გაუღებენ და ეზოში შეუშვებენ. თუ სტუმრებს შორის არის კარგი მონადირე, მაშინ იგი სამიზნოს ერთი გასროლით ძირს ჩამოაგდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ხდება რამდენიმე გასროლა. ამ დროს როგორც მასპინძლის, ისე სტუმრების დოლ-ზურნა მთელი დატვირთვით უკრავს. მაშხალის[1] ჩამომგდებს ეკუთვნის ერთი კუჭული ღვინო და ერთიც სატუნე.

მაშხალის ჩამოგდების შემდეგ ჭიშკარს ფართოდ აღებდნენ და სტუმრებიც შედიოდნენ ეზოში შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ მთავარი ჰენგა, შემდეგ სხვა ჰენგები, გატანებულები, მეაღვირე და ბოლოს სხვა სტუმრები. ბუნებრივია, რომ ამ დროს ზურნის ჭყვიტინი და დოლის ბრახა-ბრუხი არ წყდება.

ჰენგებს ცეკვით წინ ეგებებოდა ოჯახის უფროსი ქალი (დედა, თუ ასეთი არ ჰყავდათ, მაშინ უფროსი ბიცოლა). ცეკვავდნენ სხვა ქალებიც. ამის შემდეგ ჰენგები ცხენებიდან ჩამოხტებოდნენ. მათ ცხენებს დაეპატრონებოდნენ მათთან ერთად მოსული მეაღვირენი. პატარძლის ცხენზე გაპიროვნებული მეაღვირე ცხენიდან არ ჩამოდიოდა და მას ნელი ნაბიჯით ასეირნებდა ეზო-ყურეში.

ჰენგებს, მათთან ერთად მოსულ ქალებსა და მამაკაცებს ცალ-ცალკე მარაქებში სხამდნენ.

ჰენგების მოსვლისას პატარძალი სახლში იყო დამალული. მდადე ღებულობდა მთავარ-მაყრების მიერ მოტანილ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, აგრეთვე მორთულობებს. იგი მოითხოვდა პატარძლის შესაკაზმ გასამრჯელოს 1-5 მანეთამდე. ამ თანხას იხდიდა უფროსი გატანებული.

ჩვეულებრივ. შუადღემდე, მორთულ-მოკაზმული პატარძალი გამოჰყავდათ[2] ეზოში და სვამდნენ საჯარო სუფრასთან, ცხადია,

---

1 მაშხალა — ჭოლოკზე ჩვარს დაახვევენ, დაასველებენ ნავთით, წაუკიდებენ ცეცხლს და ატრიალებენ ეორწილში. მომსველებმა უნდა ჩამოაგდონ თოფით (რედ).

2 პატარძლის გამოყვანისას მეზურნეები უკრავენ სათანადო ჰანგს: „დედა ქალ წაიყონეს, ატირეს; მამა შულს მოუყონეს, გაახარეს", ისვრიდნენ თოფს. თოფის სროლა პატარძლის გამოყვანის ნიშანი იყო (რედ).

ქალების მარაქაში. იგი მოდიოდა მეტისმეტად ნელა — მისი ნაბიჯი მხოლოდ ერთი ტერფის სიგრძისა თუ იქნებოდა (ტაატით მოჰყავდათ, შეიძლება უფრო ნაკლებიც). მოძრაობისას არ ირხეოდა. ეცვა გრძელი, მოკლე სახელოებიანი ახალუხი, რომლის ქვემოდან საკმაოდ მოუჩანდა ყანაუზის[1] პერანგი, წინ ეფარა ხავერდის მოქარგული წინსაფარი, გრძელი და განიერი მუქსარი[2] ჩამოშლილი ჰქონდა (ე. ი. კოჭებთან ტოლაღებით არ იყო შეკრული). თავზე ეხურა შავი მანდილი, რომელიც შუბლისაკენ ცხვირივით გრძლად იყო გამოშვერილი, აგრეთვე გრძელი ჟუნა (მარლა) და ბაღდადი. ზოგჯერ მას ზევიდან ამშვენებდა ვერცხლის შაურიანებით, ორშაურიანებით და სამშაურიანებით მორთული ბრტყელი წვრილი ჯაჭვი. წინ ჩამოფარებული ჰქონდა ქალადა[3]. ამგვარად, სახე არ უჩანდა. ყურებზე გაკეთებული ჰქონდა ვერძის (ცხვრის) რქები; სასაფეთქლე საკიდი, რომელიც წარმოადგენდა ექვსი ვერცხლის აბაზიანისაგან მოჭედილ პატარა ნალისებურ სამკაულს. იგი თითქმის წარბებამდე აღწევდა. საყურეებს ინგილო ქალები არ ატარებდნენ. ბეჭდებს იკეთებდნენ მხოლოდ პატარძლები, ისიც პირველი წლის განმავლობაში, იშვიათად ხანდაზმულნიც. ბეჭდები იყო ვერცხლისა, უთვლო. შემდეგ ხმარებაში შემოვიდა თვლიანი ბეჭდებიც. ოქროს ბეჭდები იშვიათად გვხვდებოდა. მაჯებზე იკეთებდნენ ვერცხლის სამაჯურებს. ნეფე ბეჭედს ჯვრისწერისთანავე იძრობდა და ინახავდა. პატარძალს შუბლზე ჰქონდა გრძელი, ვერცხლის ფულებით (მეტწილად მანეთიანებით და ათშაურიანებით) მორთული სამკაული, წინსაფარს მარჯვნივ, მარცხნივ და ქვემოდან შემოვლებული ჰქონდა ვერცხლის ფულები (უმეტესად სამშაურიანები და აბაზიანები). გულისპირზე ეფარა სამკაული ფულების აცმულა, რომელშიც მონეტების რაოდენობა სამოცდაათს აღწევდა. ამისათვის ხმარობდნენ ვერცხლის აბაზიანებს, რომელთა შორის ხშირად შეხვდებოდით ქართულ აბაზიანებსაც, რომელსაც აქ თეთრს ეძახდნენ. ძველად იგი ფართო და განიერი კეთდებოდა ისე, რომ მთელ გულმკერდს ფარავდა სიგრძე-სიგანეზე[4] წელზე შემოკრული ჰქონდა ვერცხლის მანეთია-

---

1 ბრჭყვიალა ატლასის თხელი ქსოვილის პერანგი.

2 განიერტოტებიანი და ნაკეცებიანი შარვალი.

3 აბრეშუმის (ატლასის) პირსაბურავი (პრო. ლადო ახვლედიანი).

4 ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

სურ. № 3. ინგილო ქალი ნაციონალურ ტანსაცმელში

ნებითა და სხვა ფულებით მოჭედილი განიერი სარტყელი, რომელიც იკვრებოდა დიდი ზომის აბზინდით. პატარძალს ფეხზე ეცვა შიბიანი ან მოქარგული წინდები, ხშირად ჩუსტები, ზოგჯერ ახალი კალოშები, ან ქოშები, იშვიათად ფეხსაცმელი (თუ სასიძო საკმაოდ შეძლებული იყო).

მართალია, პატარძალი მეტად ნელა მოძრაობდა, მაგრამ წინსაფარზე დაკერებული ვერცხლის ფულების წკარუნი მაინც მკაფიოდ ისმოდა. პატარძალს სვამდნენ ქალების მარაქაში. მას გარს ეხვივნენ მდადე, ხელისმომკიდე, ახლო მეგობრები, მეჯვარეები, ნათესავები. მართალია, იგი უხვად მომარაგებულ სუფრასთან იჯდა, მაგრამ პირს არაფერს აკარებდა.

პატარძლის გამოჩენას ზურნა და დოლი ზავთითა და ზათქით ხვდებოდა. საჭირო იყო ერთი აუცილებელი პირობის დაცვა. მთავარი მეზურნისათვის წელზე უნდა შემოეკრათ პატარძლის მიერ შეკერილი განიერი, ნაირგვარად მოქარგული და აჭრელებული ქამარი, რომელზეც მიმაგრებული იყო ლამაზი სახეებიანი წინდები, ტოლაღები, ქალამნის ზონრები, აბრეშუმის საგანგებოდ მოქარგული და ნაირფეროვანი მძივებით დამშვენებული, რომელსაც ორ-სამ ადგილას ჰქონდა ფულების ჩასაყრელი აღნიშნული. აღნიშნული ქამრის გარეშე მეზურნეები არ უკრავდნენ.

დამკვრელებს სასიძოს მხარე გზავნიდა: ჩვეულებრივ, ორ მეზურნეს და ორ მედოლეს. ერთი დოლი პატარა იყო და მას ორი ჩალიკით უტყაპუნებდნენ, ხოლო მეორე დოლი—რომელსაც ერთ ჩალიკს ურტყამდნენ. პატარა დოლზე რამდენიმე დარტყმისას, დიდ დოლზე ერთხელ ურტყამდნენ. იგი საკმაოდ ბოხსა და დიდ ხმას გამოსცემდა.

იმართებოდა ცეკვა-თამაში: ქალები ცალკე ცეკვავდნენ, მამაკაცები — ცალკე. ქალების მარაქაში მამაკაცების გარევა, მით უმეტეს მათთან ცეკვა არ იყო მიღებული. ამ ტრადიციის დამრღვევს, თუნდაც იგი ახლობელი ნათესავი ყოფილიყო, მასპინძელი ეზოდან აძევებდა, წესრიგის დამრღვევი უსიტყოდ ემორჩილებოდა.

დღის ორ-სამ საათზე იწყებოდა პატარძლის წაყვანის სამზადისი. მისთვის გამოყოფილი იყო მამალი ცხენი, რომელზეც გაპიროვნებული იყო მთავარი მეაღვირე — ნეფის ახლო მეგობარი. იგი ამ ცხენზე იჯდა და პატარძლის ეზოში ატარებდა, მანამ მასზე პატარ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალს შესვამდნენ. ცხენიდან ჩამოსვლა არ შეიძლებოდა, რადგან თავისუფალ ცხენზე შეხტებოდა რომელიმე ახალგაზრდა, მნიშვნელობა არა ჰქონდა, იგი უნაგირზე წამოსკუპდებოდა თუ გავაზე. მისი ჩამოყვანა ძალით, ან მასთან ჩხუბი, მისი აუგად მოხსენიება არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში მისი ჩამოსმის ერთადერთი საშუალება იყო რაიმე სასყიდლის გაღება (ზოგჯერ ფულით, ან სტუმრობით, ყოჩით და ა. შ.). სწორედ ამ მიზეზის გამო მეაღვირე უნაგირს არ სცილდებოდა. მეაღვირე პატარძლის წინ ცხენს აჩერებდა. იგი ცხენზე უნდა შეესვა მამას, ან ბიძას, ან ვინმე უხუცეს ნათესავთაგანს. მეაღვირე ცხენს აჩერებდა პატარძლის წინ, რომლის წინაც იდგა დაბალი სკამი, რათა პატარძალი ზედ შემდგარიყო და ფეხი უზანგში გაეყო. როდესაც პატარძალი მარჯვენა ფეხს ასწევდა, მაშინ მეაღვირეც უზანგიდან მარჯვენა ფეხს ამოიღებდა და მარცხნივ გადაექანებოდა, ამასობაში პატარძალი მარჯვენა ფეხს გაჰყოფდა უზანგში და უნაგირს მოახტებოდა. ამ დროს მეაღვირე მარცხენა უზანგიდან ფეხს იღებდა და მას ათავისუფლებდა.

მეაღვირეს პატარძლის ცხენის აღვირი ხელში ეჭირა და ისე მიჰყვებოდა. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ გასავლელი იყო მდინარე, რომელზეც ხიდი არ იყო. ამ შემთხვევაში მეაღვირე ცხენის ფეხდაფეხ ტოპავდა წყალში და ისე გადიოდა გაღმა. ფეხების დასველება არაფრად ითვლებოდა. პატარძლის ცხენის აღვირის გადაცემა სხვა პირისათვის, თუნდაც ახლო მეგობრისათვის, დაუშვებელი იყო, რადგან იგი პატარძლის ცხენს დაეუფლებოდა და მეაღვირეს აღარ დაუბრუნებდა დიდი გამოსასყიდის გარეშე. ცხენებზე სხდებოდნენ მაყრებიც, მათ წინ მიდიოდა მთავარი მაყარი. სულ წინ მიდიოდნენ დამკვრელები, შემდეგ თოფებით შეიარაღებული ახალგაზრდები.

სიძის ოჯახისაკენ პატარძლის გამგზავრებამდე სიძის ურმით გზავნიდნენ პატარძლის მზითევს: ჯეჯიმებს, ლეიბებს, საბნებს, მუთაქებს, ბალიშებს, სკივრს, კიდობანს. ურემს თან მისდევდა ორი ჭაბუკი, პატარძლის ნათესავები, რომლებსაც „მეკურტნე“ ეწოდებოდათ. მათი მოვალეობა იყო ქორწილის დამთავრებამდე დაეცვათ პატარძლის მზითევი, სიძის ოჯახი მეკურტნეებს უხდიდა 20 კაპიკს[1].

1 მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

პატარძალს, ურმის გამგზავრების შემდეგ, დააყენებდნენ ხოლმე კორთესთან და ემშვიდობებოდნენ დედა, დები, ახლო ნათესავები, მეზობლები. კაცების გამომშვიდობება არ იყო მიღებული[1].

ვინც შეძლებული იყო, პატარძლისათვის ქირაობდა ეტლს, მასში პატარძალთან ერთად სხდებოდნენ მდადე, ხელისმომკიდე და ახლო ნათესავები. ამ შემთხვევაში მეაღვირე იდგა ეტლის საფეხურზე. თუკი, სასიძოს ოჯახს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ პატარძლისათვის ცხენი, მით უმეტეს ეტლი დაექირავებინა და გაეგზავნა, ამ მიზნით იყენებდნენ ურემს.

მაყრიონს თან მისდევდნენ პატარძლის „გამოტანებულები", რომელთა რაოდენობა უტოლდებოდა სასიძოს „გატანებულებისას" და ისეთივე სანოვაგით დატვირთული, როგორიც სიძის „გატანებულები".

პატარძლის ცხენს კისერზე აბამდნენ პატარძლის მიერ დაწნულ მარაზს[2], რომელსაც წვერსა და ბოლოზე არც ფუნჯი ჰქონდა და არც ფოჩები, პატარძლის მიერ მოქსოვილ წინდებს, ქალამნის ზონრებს, ტოლაღებს, ცხვირსახოცებს, აბრეშუმის მანდილს, აბგებსა და სხვ. ასევე რთავდნენ ეტლსა და ურემსაც, თუკი პატარძალს ასეთი ტრანსპორტით უხდებოდა მგზავრობა.

მთელი ეს აღკაზმულობა და საჩუქრები ბოლოს მეაღვირეს რჩებოდა.

პატარძლის ქუჩაში ან ცოტა მოშორებით გამოჩენისთანავე, საზეიმო პროცესიას წინ გადაუდგებოდნენ და აჩერებდნენ თოფებით შეიარაღებული ახალგაზრდები. ჩვეულებრივ, გზაზე გარდიგარდმო ხერგავდნენ ორ ურემს, რის შედეგადაც გავლა შეუძლებელი იყო. დამხვდურები მოითხოვდნენ გამოსასყიდს. მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა უფროსი გატანებული, მშვიდობიანად შეთანხმდებოდნენ და გზას ათავისუფლებდნენ, ურმებს განზე სწევდნენ და ისროდნენ თოფებს. ძველად ასეთი შეთანხმებისათვის საკმარისი იყო 1 მანეთი. ეს სახუმარო ტრადიცია ახლაც არ არის დავიწყებული, მაგრამ გამოსასყიდისათვის ზოგჯერ 30-50 მანეთსაც არ სჯერდებიან ხოლმე.

---

[1] ზ. ე დ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[2] მარაზი — წვრილი ბაწრით დაწნული თოკი (რედ).

მთელ გზაზე, პატარძლის ეზოდან სიძის ჭიშკრამდე, განუწყვეტლივ უკრავდა დოლი და ზურნა.

პატარძალი თავისი მაყრიონით უკვე შებინდებისას ჩერდებოდა ნეფის ჭიშკართან (ან ხერხლებთან): იგი გულდაგულ იყო დაკეტილი. კარებს უკან იდგნენ ახალგაზრდები და იყო ერთი ყიჟინა და ჟრიამული. ერთ-ერთ ახალგაზრდას ხელში ეჭირა გრძელი ალატი-ჭოკი, მის წვერზე ენთო მაშხალა, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით აქნევდა. თუ მაყრიონში კარგი მსროლელი ერია, მაშინ პირველი გასროლისთანავე მაშხალა ძირს ვარდებოდა, თუ არა და ისმოდა რამდენიმე გასროლა. მაყრიონთან ერთად მოსულ ნეფის „გატანებულებსა" და სხვა სტუმრებს მაშხალისათვის სროლის უფლება არა ჰქონდათ. ამ პროცედურის განმავლობაში მთელი სიმძაფრით უკრავდა როგორც მასპინძლის, ისე სტუმრების ზურნა და დოლი.

მაშხალის ძირს ჩამოვარდნისთანავე კარებს ფართოდ აღებდნენ და პატარძალი თავისი მაყრიონით ეზოში შედიოდა. სტუმრები ჩამოქვეითდებოდნენ, ცხენებს მასპინძლები აბინავებდნენ და უვლიდნენ.

მეალვირე პატარძალს ცხენით სახლის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა, შემდეგ სახლში შესასვლელ კარებთან აჩერებდა. აქ მამამთილი, (ან სიძის უფროსი ბიძა, თუ ასეთი არ ჰყავდა, მაშინ უახლოესი ხანდაზმული ნათესავი) პატარძალს ცხენიდან ჩამოიყვანდა. ამ დროს საიდანღაც გამოვარდებოდა ნეფე, შეხტებოდა კიბეზე, რომელიც სახლის სახურავზე წინასწარ საგანგებოდ იყო მიყუდებული, პატარძალს თავზე ერთ ჯამ (ან ბადია) თხილს გადააყრიდა, შემდეგ კიბიდან მარჯვედ ჩამოხტებოდა და ამხანაგების დახმარებით გაუჩინარდებოდა.

მ. ჯანაშვილის თქმით, „რას ნიშნავს თხილის გადმოყრა პატარძალზე არავინ იცის"[1]. დაბნეულ თხილს ჩვეულებრივ ბავშვები კრეფდნენ ხოლმე. მოგვითხრობდნენ, რომ ძველად თხილის მაგიერ პატარძალს თავზე აყრიდნენ ვერცხლის ფულებს (შაურიანებს,

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

ორშაურიანებს, სამშაურიანებს. აბაზიანებს და სხვ.), რომელთა შორის ზოგჯერ ოქროს ხუთმანეთიანებიც გამოერეოდა ხოლმე. ამ ფულების აკრეფის უფლება მხოლოდ პატარძლის მხრიდან მოსულ სტუმრებს ჰქონდათ. როგორც ჩანს, ტრადიცია ტრადიციად დარჩა, ხოლო ფულის ადგილი დაიკავა თხილმა.

მამამთილი პატარძალს ცხენიდან ჩამოსვამდა და ცდილობდა სახლში შეყვანას. პატარძალს თან ახლდა ხელიხელჩაკიდებული მდადე (ხელისმომკიდე) და რომელიმე ნათესავი ქალი. აივნის შესასვლელთან იდო ჯაჭვი (ჯამბარა), რომელიც გამოიყენებოდა გუთნეულის ყევარი ხარ-კამეჩის უღელში შესაბმელად. ჯაჭვზე ფეხის გადაბიჯების შემდეგ პატარძალს ადგილზე სამჯერ შემოატარებდნენ. წინ დაგებული იყო ჯეჯიმი, რომელზეც იდო აჩაჩის „რკინა" (სახნისი), ხოლო მის წინ იდგა ღვინით სავსე ჭიქა. პატარძალს ამ ჭიქისათვის ფეხი ისე უნდა წაეკრა, რომ მიეჯახებინა სახნისისათვის და გაეტეხა, ცხადია, ღვინო დაიღვრებოდა. თუ ამას პატარძალი ვერ მოახერხებდა, მაშინ ამ საქმეში ეხმარებოდა მდადე.

სახლის კარებში მამამთილი პატარძალს დედამთილს გადააბარებდა. ეს უკანასკნელი პატარძალს ხვდებოდა წმინდა სანთლით განათებული ტაბაკით, რომელზეც ეწყო თაფლი ან ბაქმაზი, ცომის პატარა გუნდა, ყაჭი. დედამთილი პატარძალს ქალაღას აუწევდა, ტუჩებზე თაფლს (უფრო მეტად ბაქმაზს) წასცხებდა, რაც სიტკბოსა და სიამტკბილობაში დროის გატარებას ნიშნავდა, თან მარჯვენა ხელში ცომის კოშტს ჩაუდებდა. იგი პატარძალს უნდა მიეკრა სახლის დირეზე, საკეტი რაზის ზემოდან. იმდროინდელი სახლები ძალზე დაბალი იყო ხოლმე და პატარძალს ამ დავალების შესრულება არ გაუჭირდებოდა. დედამთილი პატარძალს თავზე დააფარებდა ყაჭს, რაც იმის მანიშნებელი იყო, „ასე თეთრად დაბერდი". შემდეგ შემოატარებდა სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს, ხელს ჩააყოფინებდა ფქვილის კასრში, რაც ახალმოსული პატარძლის სიუხვის და ხელხვავიანობის მაჩვენებელი იყო. ფქვილის კასრში ხელის ჩაყოფისას პატარძალი შიგ დებდა კოკოს (კოკორას), რომელიც მამის სახლიდან ჰქონდა გამოტანებული. შემდეგ დედამთილი ხელს ჩააყოფინებდა ახლად გამომცხვარ პურის

ვარცლში, ამ დროს პატარძალს უკან დასდევდა ხანჯალამოღებული მამამთილი. იგი ხანჯალს ჩაჰკრავდა კარებისა და ფანჯრების ჩარჩოებს, დედაბოძს („შუაბოძს"), კორთესა და სხვა მათ მსგავსთ, რათა პატარძალს ეშმაკები არ დაჰპატრონებოდნენ.

შემდეგ პატარძალს ოთახის ერთ-ერთ კუთხეში, საგანგებოდ ჩამოფარებული ფარდის უკან ბალიშზე დასვამდნენ და კალთაში პატარა ბიჭუნას (რომელსაც ცოცხალი მშობლები ჰყავდა) ჩაუსვამდნენ — ვაჟიშვილები მოგეცესო. პატარძალი ამ ბავშვს ერთ წყვილ წინდას აჩუქებდა. ამავე დროს, პატარძლის წინ დგამდნენ ნაირგვარი სანოვაგით, ტკბილეულითა და ხილით სავსე ტაბაკს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტაბაკის დადგმა არ შეიძლებოდა, სანამ მდადე ხელებს არ დაიბანდა. თავის მხრივ, მდადე უცდიდა სანამ მას არ დაასაჩუქრებდნენ ფულით (ოცი კაპიკით). ახალგაზრდა ქალები მიართმევდნენ სპილენძის სურას, სპილენძის ტაშტს და მდადეს ხელებს დააბანინებდნენ. პატარძალს ხელების დაბანა არ სჭირდებოდა. ამის შემდეგ ტაბაკს დგამდნენ პატარძლის წინ. მიუხედავად ასეთი უხვი მასპინძლობისა, პატარძალი პირს არ აკარებდა არაფერს.

პატარძალთან უკანასკნელ ღამეს, რომელსაც იგი მშობლების ოჯახში ატარებდა, იკრიბებოდნენ მისი ტოლი ქალიშვილები — ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, ამხანაგები და მასთან ატარებდნენ მთელ ღამეს, ართობდნენ და ამხიარულებდნენ მას.

პატარძალს საქორწინო ტანსაცმელს აცმევდნენ ახალგაზრდა ქალები, მეგობრები, ამხანაგები, მეზობლები და სხვანი, რომლებსაც „შემკმანზავები" ეწოდებოდათ. მათ საამისო გასამრჯელოდ ეძლეოდათ 40 კაპიკი.

ნეფე-დედოფალი დილაადრიანად მიჰყავდათ ეკლესიაში ჯვრის დასაწერად, ცხადია ცალ-ცალკე გამყოლების თანხლებით[1].

ჩვეულებრივ, ნეფე-დედოფალი ერთიმეორეს პირველად სწორედ ეკლესიაში, ჯვრისწერის დროს ხედავდნენ. მანამდე კი ვაჟსა და ქალს ერთიმეორის ნახვის უფლება არა ჰქონდათ, მით უმეტეს დალაპარაკებისა. ვაჟი და ქალი ერთიმეორესთან შემთხვევით

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

შეხვედრისას იმალებოდნენ. ისინი ასევე იქცეოდნენ დანიშნულის მშობლების, ან ახლო ნათესავების (ძმების, დების, ბიძების, მამიდების, დეიდების და სხვათა) შეხვედრის დროსაც, გარდა თავიანთი ტოლებისა. ხშირად ასეთი დამალობანა 10-12 წელიწადს გრძელდებოდა. ამ ტრადიციის დაცვა ზოგჯერ შეუძლებელი ხდებოდა, როდესაც დანიშნულები ახლო, მით უმეტეს კარის მეზობლები იყვნენ.

ჯვრისწერის დროს ნეფესა და დედოფალს ბეჭედს უცვლიდა ხელისმომკიდე. გვირგვინს თავზე ადგამდნენ და მისი ტოტები ძირს ეშვებოდა, რომელზეც მეჯვარეს ხელი ჰქონდა წავლებული.

ეკლესიიდან გამოსვლისთანავე ნეფეს ნაბადს წამოასხამდნენ, ხოლო დედოფალს ქალაღას ჩამოაფარებდნენ და თავიანთ სახლებში აბრუნებდნენ თანმხლები პირები[1].

ჯვრისწერის დამთავრებისთანავე ერთ-ერთი ჭაბუკთაგანი მირბოდა ნეფის სახლისაკენ და მშობლებს ახარებდა ჯვრისწერის ამბავს. ეს იყო მახარობელი, რომელსაც სამახარობლოდ აჩუქებდნენ ხოლმე 1-3 მანეთამდე[2].

ნეფეს ქორწილის დროს დილაადრიანად აბანავებდნენ და აცმევდნენ ახალ ტანსაცმელს — ახალუხს, რომელიც შუა წვივებამდე სწვდებოდა, და ჩოხას, რომელიც თითქმის კოჭებამდე აღწევდა. ფეხზე ეცვა ჩუსტები, ან ახალი კალოშები, ზოგს ჩექმები. ღარიბი ნეფე კმაყოფილდებოდა ე. წ. „ბაზრული ქალამნებით". თავზე ეხურა კრაველის ფაფახი, მეტწილად რუხი ფერის. ჩოხას უმშვენებდა მასრები, რომელთა თავები იყო ვერცხლისა და ერთიმეორესთან ვერცხლისავე ძეწკვით დაკავშირებულნი. წელზე ეკრა ვერცხლის საკაზმავით მორთული ქამარი და ეკიდა მოვერცხლილი ქარქაშით ვერცხლისავე ვადიანი ხანჯალი. ზევიდან წამოხურული ჰქონდა გრძელფოჩებიანი შავი ნაბადი იმგვარად, რომ მარტო ცალი თვალი უჩანდა. ნეფეს მისი მეგობრები — „შემკმანზავები" — რთავდნენ, რისთვისაც გასამრჯელოს ღებულობ-

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

2 ზ. ე დ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

დნენ 40 კაპიკს.[1] მორთულ-მოკაზმული ნეფე გარეთ გამოჰყავდათ, ამ დროს ისროდნენ თოფს, რაც იმისი მაუწყებული იყო, რომ ნეფე მობრძანდებაო. მის წინ მშობლები ცეკვავდნენ, კოცნიდნენ მას და კისერზე ახვევდნენ ბაღდადს: დედა წითელს, ხოლო სხვები — თეთრს[2]. შემდეგ ნეფე ზურნა-დოლის დაკვრით მიემართებოდა სუფრისაკენ. ნეფე მიდიოდა ნელი ნაბიჯით. მას სვამდნენ კაცების მარაქაში, მარჯვნივ და მარცხნივ ესხდნენ ხელის მომკიდენი, რომელნიც პატარძლის მხრიდან იყვნენ გამოყოფილნი. ნეფეს სვამდნენ მუთაქაზე ან ბალიშზე, რის გამოც იგი მარაქაში კარგად გამოირჩეოდა.

რამდენიმე ახალგაზრდა ფეხზე დგებოდა, ხელში არაწს იღებდა, მიესალმებოდა ნეფეს და გაგრძელებულ ააშენოს, ააშენოს გასძახებდა. მათ შემოძახილს მთელი სუფრა გამოეხმაურებოდა და ყველა ფეხზე დგებოდა. დიდ ხანს ისმოდა ააშენოს, გაუმარჯოს. ეს იყო ნეფის პირველი სადღეგრძელო. ბუნებრივია, ამ დროს ზურნისა და დოლის ტუში არემარეს აყრუებდა.

ნეფე ჭამდა ცოტას. ღვინოს არ ასმევდნენ. იგი იჯდა მორცხვად, მორიდებით, არც ბევრს ლაპარაკობდა. მეტწილად ფეხზე იდგა, რადგან სტუმრები მოდიოდნენ და ულოცავდნენ, თან საჩუქრებს გადასცემდნენ. ისიც დაბალი ხმით მადლობას უხდიდა, თავს დაბლა ხრიდა და ჯდებოდა.

ამასობაში ქეიფი და ღრეობა თავის უფლებებში შედიოდა.

იმ დროს საინგილოში არც მაგიდები იცოდნენ და არც სკამები იყო ხმარებაში. დაახლოებით ერთი მეტრის სიგანის ლურჯ სუფრას უშუალოდ მიწაზე გაშლიდნენ ხოლმე.[3] მის გარშემო ქვებზე დებდნენ ფიცრებს, ზოგჯერ აწყობდნენ გორგლად დახვეულ ნეჭებს, ზევიდან აფარებდნენ ჯეჯიმებს ან ნაბდებს და სხდებოდნენ. ზოგჯერ ქვებზე ფიცრებს აწყობდნენ და ამგვარად აკეთებდნენ სახელდახელო მაგიდას მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 40-50

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

2 ზ. ე დ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

3 იქნებ ეს ტრადიცია საინგილოში შემონახულია იმ ძველებური ქართული ლექსის — „ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი" — მიბაძვით. (პროფ. არჩილ ჯანაშვილი).

სმ-ის სიშაღლეზე. ფიცრის უქონლობის გამო ამას ბევრი ვერ ახერხებდა.

საჭმელები დიდი ნაირფეროვნებით არ გამოირჩეოდა. მეტწილად აკეთებდნენ უბრალო წვენს (მაშინ ხმარებაში კარტოფილიც არ იყო). მოჰქონდათ ბლომად მშრალად მოხარშული ხორცი, ვაზის ფოთოლში შეხვეული ტოლმა (მისი დაკლება არ შეიძლებოდა, მასპინძელს ძუნწობაში ჩაუთვლიდნენ), როგორც ცხვრის, ისე ძროხის მწვადები (მწვადთან ერთად შამფურზე წვავდნენ პომიდორსა და წიწაკას), ზოგჯერ ორ-სამ კაცს ერთად აძლევდნენ სამწვადეს, რომელიც „ხორცის ამხანაგობას“ თითონვე უნდა შეეწვა[1]. მოჰქონდათ ქათმები, სამ-ოთხ კაცზე ერთი მაინც (მეტწილად მოხარშული, ზოგჯერ ტაბაკად შემწვარი), სამად ან ოთხად გაჭრილი ძროხის ბარძაყის ძვალი (ცხადია ხორციანი), რომელსაც ინგილოები „სატუნეს“ უწოდებენ. ამის გარეშე სუფრას არ ჩათვლიან სრულყოფილად, დიდი რაოდენობით ყველი, პური, ჩვეულებრივი და წითელი ლავაშები, ნაზუქები, ქალების მარაქაში მიჰქონდათ ნაზუქები, ქადები, ტკბილეული, ტოლმა, მწვადები, მშრალად მოხარშული ხორცი და სხვა. ნეფეს, გარდა ჩვეულებრივი საჭმელებისა, მიართმევდნენ ხოლმე ერბო-კვერცხში მოხრაკულ ქათმის ტაბაკას.

ჭურჭელი იყო სპილენძის, მოკალული ჯამები და საინები, აგრეთვე თიხის ჯამები (კილანები). ფაიფურის ჭურჭელი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. არც ჭიქები იცოდნენ. ხმარებაში იყო არაწი — ღვინის სასმელად. ჯამ-ჭურჭელის ნაკლებობის გამო ერთ ჯამში უსხამდნენ ხოლმე საჭმელს მეზობლად, მეტწილად კი ერთიმეორის პირისპირ მსხდომ სტუმრებს. ხორცეულს ყრიდნენ ხოლმე ლავაშებზე, ან პირდაპირ სუფრაზე. სატუნეს დებდნენ მოზრდილ საინზე, ან ლავაშებზე. დანა-ჩანგლის შესახებ საინვილოში დიდხანს არაფერი იცოდნენ (ეს ეხება გლეხობას, მაგრამ ოჯახებში, სადაც განათლება იყო შესული, მღვდელი, მასწავლებელი იყო ეს თუ აგრონომი და სხვები, დანა-ჩანგალიც და ფაიფურის ჭურჭელიც იხმარებოდა).

პატარძლის წინ ელაგა ტოლმა, მოხარშული და შემწვარი ქათმები, მწვადები, მოხარშული ხორცი, კარაქი, თაფლი, ბაქმაზი,

---

1 მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

კამფეტები, ხილი და სხვა. მაგრამ პატარძალი პირს არაფერს აკარებდა, რადგან ყველა მას შეჰყურებდა.

იმ დროს არ იცოდნენ თამადა და არც ისეთი გრძელი სადღეგრძელოების თქმა, როგორიც საქართველოში იყო მიღებული. იქ მხოლოდ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს სვამდნენ. უფრო მეტად, მეზობლად მსხდომნი ერთიმეორეს გადაულაპარაკებდნენ სადღეგრძელოს, უმეტესად ეს ეხებოდა ნეფე-დედოფალს, მათ მშობლებს. იტყოდნენ ხოლმე: „ღმერთმა დალოცოს“, ან „ღმერთმა ბედნიერი ბედი დააბედოს“, „ნეფე-დედოფალი თეთრად დააბეროს“, „წყვილად დააბეროს“. ეგ იყო და ეგ. სხვა სადღეგრძელოების თქმა არ იცოდნენ, თუ სტუმრად არ იყო მისული ვინმე განათლებული ადამიანი (ვთქვათ მასწავლებელი, ან ფერშალი და სხვა მისთანა), რომელიც მართლა სადღეგრძელოს იტყოდა.

დროდადრო რომელიმე ხანდაზმული სტუმართაგანი, მეტწილად ნათესავი ან მეზობელი, წამოდგებოდა, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, სხვებიც აჰყვებოდნენ, სასმისს შესვამდნენ და დასხდებოდნენ. ჩვეულებრივ კი, სადღეგრძელოს ჩუმად ამბობდნენ და სვამდნენ.

დამკვრელები ცალკე ისხდნენ და ყოველ სადღეგრძელოს ტუშით აგვირგვინებდნენ. ქორწილში უკრავდნენ ჩონგურსაც, ქალების მარაქაში გარმონსა და ბუზიკანს, ზოგჯერ დაირასაც. გარმონს უკრავდნენ კაცების მარაქაშიც. ქორწილში მღეროდა ერთი ან ორი კაცი, რომლებიც მასპინძლის მიერ სპეციალურად იყვნენ მოწვეულნი. სხვებს სიმღერის უფლება არა ჰქონდათ, თუ საამისოდ მასპინძლის ნებართვას არ მიიღებდნენ. თუ ამ წესს ვინმე დაარღვევდა, მაშინ მასპინძელი მას ტუქსავდა და უკრძალავდა მღერას, თუ იგი კიდევ დაარღვევდა ამ წესს, მაშინ მასპინძელი მას ქორწილიდან აძევებდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამის გამო ტრადიციის დამრღვევს უკმაყოფილება გამოეთქვა და არ დამორჩილებოდა მასპინძელს. თუ წესრიგის დამრღვევი მთვრალი იყო, მაშინ მასპინძელი ატანდა ფხიზელ ახალგაზრდას და ავალებდა იგი მიეყვანა სახლში, პატრონისთვის ჩაებარებინა. ქალების სიმღერა საინგილოში საერთოდ არ იყო მიღებული, თუმცა ზოგმა გოგონამ

კარგი სიმღერები იცოდა, მაგრამ საჯაროდ მღერის უფლება არ ჰქონდა.

ცეკვა ნაირგვარი იცოდნენ. „შიფრობა“[1] რამდენადმე ჰგავს ქართულ ცეკვას: ერთიმეორეს მხარზე ხელიხელგადაჭდობილი ცეკვავენ. ბევრით ჰგავს ხორუმს (ქართულ თარგმანში ცეკვა „ცეცხლზე დაბიჯებით“) — ფეხებს ჩვეულებრივ მწყობრად შორი-შორს ადგამენ. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოცეკვავე მართლა ცეცხლზე აბიჯებსო. ხელების მოძრაობა და ტანის მიხვრა-მოხვრა ისეთივეა, როგორც ქართულ ცეკვებში.

ნეფეს რამდენჯერმე აცეკვებენ ხოლმე: ამ დროს ყველა ფეხზე დგება და ტაშს უკრავს. ზურნა და დოლი თავის ძალასა და უნარს არ აკლებს მოცეკვავეს. ნეფეს აძლევენ „შაბაშს“ — ფულს, რასაც ქუდის ქვეშ უდებენ, ან ხელში აჩეჩებენ. ცეკვის დამთავრების შემდეგ მიღებულ ფულს მოცეკვავენი აძლევენ დამკვრელებს. ამ ფულის მითვისება დიდ სირცხვილად ითვლებოდა და შემდეგ მთელ სოფელში სალაპარაკო და საჭორაო ხდებოდა, ამიტომაც მას ყველა ერიდებოდა.

რაკი შაბაშზე იყო საუბარი, საჭიროა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი: ქორწილის მესამე დღეს (ე.ი. „დიდ ქორწილში“) ნეფის ერთ-ერთი ნათესავთაგანი იღებდა ერთ დიდ ვაშლს, შიგ ჩაასობდა 20 კაპიკიანს, შევიდოდა კაცების მარაქაში და დაიძახებდა:

— აი, სტუმრებო, ახალი ამბავი მოსულა?

— ხეირ იქნეს! — გასძახებდნენ სტუმრები.

— ხეირი და მადლობა ღმერთს! მავანმა ერთი მანეთი გამოგზავნა ნეფისათვის ხალათის საფასურად.

— ააშენოს, ააშენოს!

ამგვარი სიტყვებით ეგებებიან მეშაბაშეს ყოველი შაბაშის მიცემის შემდეგ. შაბაშს კი — ერთ მანეთს, 50 კაპიკს, 40 კაპიკს,

---

[1] ინგილოური „შიფრობა“ ჩვენმა გამოჩენილმა ხელოვანმა გიორგი სალუქვაძემ ადგილობრივ დაწვრილებით შეისწავლა და თავის საცეკვაო რეპერტუარში შეიტანა. ამგვარად ეს მივიწყებული ცეკვა მან გააცოცხლა და შემოუნახა მომავალ თაობას, რისთვისაც ინგილო საზოგადოებრიობა მას დიდ მადლობას უძღვნის. (არჩილ ჯანაშვილი).

20 კაპიკს ყველა აძლევს. ასე რომ ზოგიერთ ბედნიერ ნეფეს რამდენიმე თუმანი უგროვდება[1].

მოსე ჯანაშვილის თქმით, „ვაჟის ნათესავი ქალები მიდიან და ნეფის წინ ცეკვავენ. ნეფე ამ დროს ფეხზე დგას. ცეკვის შემდეგ მოცეკვავე ქალი ნეფეს 2-3 შაურიან ხელსახოცს შემოაკრავს კისერზე ან ქუდზე, შუბლზე აკოცებს და ისევ ქალების მარაქაში დაბრუნდება. ამგვარად, ნეფეს მრავალი ცხვირსახოცი უგროვდება"[2].

აცეკვებდნენ პატარძალსაც, მაგრამ მისი ცეკვა ძალზე ნელი იყო: ფეხებს ისევე ნელა ამოძრავებდა, როგორც სიარულის დროს (რის შესახებაც ზემოთ უკვე იყო თქმული), შეინიშნებოდა მხოლოდ ხელების ოდნავი რხევა. ქალები, ჩვეულებრივ, ცეკვავდნენ ცალკე. ქალებისა და ვაჟების ერთობლივი ცეკვა არ იყო მიღებული.

ქორწილში რამდენიმე ახალგაზრდა განზე დადგებოდა ხოლმე და ისროდა თოფს მიზანში. თუმცა ცდილობდნენ, რომ სროლა არ ყოფილიყო. ზოგიერთი მასპინძელი მას სასტიკად კრძალავდა.

ამასობაში ღამდებოდა, საჭირო იყო ნეფისა და დედოფლის მოსვენება. იმ ღამეს პატარძალი ითვლებოდა ოჯახის სტუმრად და მას ცალკე მოასვენებდნენ ხოლმე. მასთან ერთად იმყოფებოდა მდადე, ხელის მომკიდე და ახლო მეგობრები. ნეფეც ცალკე ისვენებდა. მასთან იმყოფებოდნენ მისი მეგობრები და პატარძლის ოჯახიდან მოსული „გამოტანებულები".

რაკი ნეფე და დედოფალი სუფრიდან დგებოდნენ და თავ-თავის ადგილას მიდიოდნენ, სტუმრებიც ნელ-ნელა ტოვებდნენ ქორწილს. ამით თავდებოდა პატარა ქორწილი. მასპინძელი სტუმრებს სთხოვდა, რომ მეორე დღეს, დილითვე, დაუგვიანებლივ მოსულიყვნენ და დასწრებოდნენ ქორწილს.

მიუხედავად ამისა, ბევრი სტუმარი, განსაკუთრებით პატარძლის „გამოტანებულები", მეგობრები, ახლო ნათესავები, ნეფის მე-

---

[1] მ. ჯ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 100—101.

გობრები და ნათესავები, მეზობლები რჩებოდნენ ხოლმე ღამის სათევად.ამ დროს უკრავდნენ ზურნას, სალამურს, ჩონგურს, ზოგი მღეროდა, ზოგიც ცეკვავდა, ან ოხუნჯობდა და ა. შ. მაგრამ ბევრი დაღლილობას (ზოგი კი სიმთვრალეს) ვერ უძლებდა და იძინებდა. ცხადია მასპინძელს იმდენი საწოლი არა ჰქონდა, რომ ყველა სტუმარს ჰყოფნოდა. იგი იატაკზე, ზოგჯერ სულაც ეზოში (თუ კარგი ამინდი იყო) ფენდა ჯეჯიმებს, ნეჭებს და სტუმრებიც იქ მოისვენებდნენ.

იმათთვის, ვინც ფხიზლობდა, აკეთებდნენ საუკეთესო ფლავს, წვავდნენ მწვადებს.

ამასობაში ახალგაზრდები მძინარე სტუმრების ჩოხებს მახათზე წამოგებული მსხვილი ძაფით აკერებდნენ იმ ჯეჯიმზე, რომელზეც იწვნენ, ან მეზობლად მწოლიარის ჩოხაზე. შემდეგ ატეხდნენ განგაშს — ზოგჯერ ისროდნენ თოფს, ააჭყვიტინებდნენ ზურნას, ან დაჰკრავდნენ დოლს. დაფეთებული მძინარეები ცდილობდნენ ადგომას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, რადგან მიკერებული იყვნენ საწოლზე, ან ამხანაგზე. სანამ ისინი თავს გაინთავისუფლებდნენ, მაყურებლები სიცილს აყრიდნენ, ხოლო დარცხვენილი „მძინარები" იპარებოდნენ ქორწილიდან, თუმცა ზოგიერთი მათგანი ამ ხუმრობას აინუნში არ აგდებდა და რჩებოდა. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მძინარებს აფრთხობდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ფლავი უკვე შეჭმული იყო.

ოჯახის პატრონი, ჩვეულებრივ, განაწყენდებოდა ხოლმე და იტყოდა: ქორწილში უნდა მოსულიყვნენ საქეიფოდ, სამხიარულოდ და არა დასაძინებლად. თუ ძილი უნდოდათ, წასულიყვნენ თავის სახლში.

ქორწილის დღეს ნეფეს ავალებდნენ მამისეული ქვევრის მოხდას, იქიდან ღვინის ამოღებას. ამ დროს ნეფეს თან მისდევდნენ მისი „მცველები", გამოტანებულები, მეგობრები, ამხანაგები. დოლ-ზურნა ამ დროს მთელი დატვირთვით უკრავდა. ნეფე ქვევრზე დაყრილ მიწას მხოლოდ ერთხელ ჰკრავდა ბარს, რასაც მაშინვე ხელიდან ართმევდნენ და მისი მეგობრები თვითონ განაგრძობდნენ ქვევრის მოხდას. როგორც კი ქვევრის სიპი (ქვევრის სახურავი ქვა) სარქველი გამოჩნდებოდა, მაშინვე მასზე შეხტებოდა მეზურნე და

იქიდან აღარ გადმოდიოდა, სანამ მას ოჯახის პატრონი ერთ მანეთს არ მისცემდა[1].

ქორწილში იცოდნენ სხვა სახის ხუმრობებიც.

ნეფის ბიძას, ან მახლობელ ნათესავს (მეტწილად ხანდაზმულს), პატარძლის მხრიდან მოსული ახალგაზრდები იჭერდნენ და თოკით ხეზე აბამდნენ. თოკს იღლიებში ამოსდებდნენ, მხრებზე გადაატარებდნენ, ხეზე ან ტოტზე მიაბამდნენ. ხშირად თოკის თავისუფალი წვერები ხელით ეჭირათ. ამგვარი „ტყვესაგან" მოითხოვდნენ გამოსასყიდს, რაც მის შეძლებასა და ქონებაზე იყო დამოკიდებული. თუ „ტყვე" მდიდარი იყო, მოითხოვდნენ, რომ დაეკლა ძროხა ან მოზვერი, ან აეხადა დიდი ქვევრი. რომ დაეჩქარებინათ მისი გადაწყვეტილება, ხეზე მიბმულს ფეხებზე წკეპლას ურტყამდნენ. ისიც იძულებული ხდებოდა დათანხმებულიყო გამოსასყიდზე. თუ დასაკლავი იყო, მაშინ იგი მოჰყავდათ და მარაქის წინ კლავდნენ, „ტყვეც" თავისუფლდებოდა. თუ ქვევრი ასახდელი იყო, მაშინ ქვევრს ხდიდნენ, იქიდან ორიოდე გოზაურს ღვინოს იღებდნენ და მოჰქონდათ სტუმრებთან, თან აცხადებდნენ, რომ ქვევრი ახდილია და ღვინოც მოტანილი. ცხადია, „ტყვე" თავისუფლდებოდა. თუ „ტყვე" ღარიბი იყო, მაშინ შეიძლება გამოსასყიდის სახით გაეღო ყოჩი, ან ინდაური, ან აეხადა პატარა ქოცო (ორი-სამი ვედროს ტევადობისა და სხვ.).

ხეზე ერთხელ დაბმულის მეორედ დაბმა არ იყო მიღებული.

ხდებოდა ისეც, რომ ვისი დატყვევება და ხეზე მიბმაც ჰქონდათ განზრახული, საკმაოდ ღონიერი აღმოჩნდებოდა, ხელში არ უვარდებოდა და თავს აღწევდა ამ გართობას. მისი მეორედ დაჭერის ცდა არ შეიძლებოდა.

სიძის ოჯახიდან დაპატიჟებულს უფლება არ ჰქონდა ვისიმე დაბმისა.

ნეფისა და მისი ხელისმომკიდეების წინ მაგიდა ორ-სამი მეტრის სიგრძეზე თავისუფალი იყო: იქ არავინ ჯდებოდა, მოდიოდნენ სტუმრები, ნეფეს ხელს ჩამოართმევდნენ (კოცნა არ იყო მიღებული), ულოცავდნენ ბედნიერებას, მიართმევდნენ საჩუქარს.

---

1 ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

შორეული სუფრიდან ვინმე მოდიოდა და მის სადღეგრძელოს სვამდა.

ერთ-ერთი საჩუქართაგანი იყო „შახი“[1], რომელიც კეთდება შემდეგნაირად: იღებენ სამ შამფურს (უფრო მეტად თხილის ტოტებისას) სიგრძით 1,5 მეტრამდე, ზედ წამოაგებდნენ მსხვილ ვაშლებს. სამივე შამფურს კანაფით კრავდნენ, თავზე დიდ ვაშლს წამოაგებდნენ, ხოლო წვეროებზეც თითო დიდი ვაშლი იყო წამოგებული. შამფურებს ფარჩხავდნენ და ასეთ სამფეხას დებდნენ მოზრდილ ტაბაკზე. სამფეხას შიგნით ჰკიდებდნენ ხოლმე პატარა თავ შაქრებს (ასეთი თავი შაქრები წინათ ხშირად იყო), ჭრელ წინდებს, ტოლაღებს, ქალამნის ზონრებს, ცხვირსახოცებს და სხვა მისთანებს. ტაბაკზე ჯამებით აწყობდნენ თაფლს, ბაქმაზს, ყრიდნენ ნატეხ შაქარს, წითელ კვერცხებს, შოთებს; წითელ ლავაშებს, ნაზუქებს, ქადებს, მოხარშულ ხორცს, მოხარშულ ან შემწვარ ქათამს, ვაშლებს, მსხალს, კომშებს, ყურძენს, ქლიავის კერკს, ქიშმიშს, თხილს, კაკალს, წაბლს, კანფეტებს და სხვ. ერთი სიტყვით, „შახი“ ძალზე იტვირთებოდა. შამფურზე წამოგებულ ყოველ ვაშლზე აკრავდნენ პატარა წმინდა სანთელს (იმ დროს ასეთი სანთელი ცალი ღირდა ერთი კაპიკი) და ღამით ანთებდნენ. მართლაც, საამური სანახავი იყო „შახი“. იმ ხანად ელექტროგანათება არ იყო. მთელ ამ ვეებერთელა სუფრას სამიოდე ლამპა თუ ანათებდა. ამრიგად, გასაგებია, რომ ღამით „შახი“ თავის სინათლეს ახლო-მახლო აფრქვევდა. თუ ნეფეს მრავალი ახლობელი და მეგობარი ჰყავდა, მაშინ შეიძლება მიერთმიათ 12-17 შახი. ამასთან „შახის“ მიმრთმევნი ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო მორთულსა და მოკაზმულ და ნაირგვარი ასორტიმენტით შეზავებულ „შახს“ მიართმევდა ნეფეს.

აღსანიშნავია, რომ „შახს“ თან მიაყოლებდნენ ხოლმე ყოჩს ან ქათამს, რომელსაც იქვე კლავდნენ. მიჰქონდათ ერთი კუჭულა (ან შტოფი) ღვინო. მაჭანკალი საჯაროდ აცხადებდა, თუ ვინ მიართვა ნეფეს „შახი“.

---

[1] „შახი“ რამდენადმე შეიძლება მივამგგანოთ ჩიჩილაკს, რომელსაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იყენებდნენ, მაგრამ მისგან ბევრი თავისებური ნიშნით განსხვავდება.

„შახის“ წინ გავლა-გამოვლისას ახალგაზრდები ხელს წაატანდნენ ხოლმე და იტაცებდნენ ტაბაკიდან ხილს, კამფეტებს, წინდებს, ცხვირსახოცებსა და საერთოდ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. „შახის“ დაცვა ევალებოდათ პატარძლის მხრიდან მოსულ გამოტანებულებს, რომლებიც ნეფეს აქეთ-იქით ესხდნენ. მათ ხელში ეჭირათ გრძელი და წვრილი წკეპლები. ვინც „შახისკენ“ ხელს გაიშვერდა ან წაატანდა რაიმეს ასაღებად, დაკრავდნენ ხოლმე. მას, ვისაც წკეპლა მოხვდებოდა, ან ოდნავ შეეხებოდა, უფლება არ ქონდა „შახიდან“ რაიმე აეღო, მაგრამ თუ აიცდენდა, მაშინ „შახის“ მცველებს მისთვის წკეპლის დარტყმის უფლება აღარ ჰქონდათ და ნადავლიც ამ უკანასკნელს რჩებოდა. ზოგჯერ ახალგაზრდები ნეფის ზურგს უკან აჩოჩქოლდებოდნენ: იმართებოდა ერთი ჩხუბი და ალიაქოთი, განზრახ ნეფეს ან მის მცველებს დაეჯახებოდნენ, თუმცა ბოდიშს უხდიდნენ, ამით, რასაკვირველია „შახის“ მცველების ყურადღებას რამდენადმე ადუნებდნენ, ეს კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ მახლობლად მდგომ ახალგაზრდებს „შახი“ გამოეტაცებინათ. მათ, ცხადია, უერთდებოდნენ ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც ნეფის ზურგს უკან ჟრიამულის ინსცენირება მოაწყეს. „შახის“ გამტაცებლებს გამოედევნებოდნენ და იჭერდნენ, მაგრამ მათთვის წკეპლის დარტყმა, ან აუგად მოხსენიება, მით უმეტეს ჩხუბი, არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში „შახის“ მცველები გამტაცებლებს უთანხმდებოდნენ სტუმრობაზე, ყოჩის დაკვლაზე, მოზრდილი ქვევრის მოხდაზე და ა. შ. ასეთი გარიგებისა და შეთანხმების შემდეგ „შახს“ აბრუნებდნენ უკან, თავის ადგილზე. მეორედ ამ ახალგაზრდებს „შახის“ გატაცების უფლება აღარ ქონდათ. ასე ვთქვათ, „ისინი გადიოდნენ თამაშიდან“. თამაშში უკვე ახალი ჯგუფი შედიოდა. ასეთი მწარე გამოცდილების შემდეგ „შახის“ მცველები უფრო მეტ სიფხიზლესა და სიფრთხილეს იჩენდნენ. ზოგჯერ რომელიმე ჯმუხი, ჩასხმული ახალგაზრდა „შახის“ წინ მიწაზე მხართეძოზე წვებოდა. ტაბაკიდან იღებდა ხილს, ტკბილეულს, კამფეტებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. ზოგჯერ ვაშლებს, კამფეტებს მარაქისაკენაც ისროდა. იქ მსხდომნი კი იჭერდნენ სიცილ-ხარხარით. „შახის“ მცველები, ამ შემთხვევაში, ძალზე უმწეო მდგომარეობაში ვარდე-

ბოდნენ. მათ უფლება არ ქონდათ მისთვის წკეპლა დაერტყათ, ან დაეყვირათ, ანდა აუგად მოეხსენებინათ. ერთადერთი ხერხი და საშუალება ასეთი „მოძალადის“ მოცილებისა იყო შემდეგი: „შახის“ მცველს მისთვის ორივე ხელი უნდა წაევლო წელზე, აეწია მაღლა და მხრიდან, ზურგს უკან, ფეხზე დაეყენებინა. ამ პროცედურის დროს „შახის“ „თავდამსხმელი“ წინააღმდეგობას არ სწევდა; ხშირად იგი იმდენად მძიმე იყო, რომ მისი აწევა „შახის“ მცველს არ შეეძლო, მით უფრო მხარზე გადატანა. ამ შემთხვევაში ისევ მორიგებას არჩევდნენ: მოწინააღმდეგე მოითხოვდა, რომ დაეკლათ ყოჩი, მოეტანათ ორი გოზაური ღვინო. შეთანხმებისთანავე იგი დგებოდა და იმ არემარეს შორდებოდა. მეორედ მას მოქმედების უფლება არ ქონდა, რადგან იგი „თამაშიდან გადიოდა“. ახლა სხვა მძიმე წონის ახალგაზრდა შედიოდა თამაშში და კვლავ მეორდებოდა იგივე.

თუ ნეფის ოჯახი ხელმოკლე იყო, მაშინ მას ერთი ან ორი „შახი“ მოსდიოდა, ხოლო თუ მდიდარი — მაშინ შეიძლება 15-17.

„შახი“, რომელიც ოჯახიდან იყო მირთმეული, მთლიანად რჩებოდა ნეფეს, ხოლო დანარჩენს ანაწილებდნენ და ერგებოდათ ნეფეს, პატარძლის გამოტანებულებს, ფეხზემდგომელებს, მეზურნეებსა და მედოლეებს. „შახზე“ მირთმეული ხორცის (დაკლული ყოჩი, ინდაური, ქათამი და სხვ.) ნახევარი რჩებოდა ნეფის ოჯახს, ხოლო ნახევარი — პატარძლის ოჯახს.

ნეფეს ზოგჯერ პარავდნენ ქუდს, ან ბალიშს, რისთვისაც მის მცველებს მაღალ გამოსასყიდს (40-50 მანეთს) ართმევდნენ ხოლმე. უქუდოდ დარჩენილ ნეფეს მისი მცველი თავის ქუდს ახურავდა (სანამ საკუთარ ქუდს გამოისყიდდნენ). ამ შემთხვევაში ჩხუბი და კამათი დაუშვებელი იყო.

ზოგჯერ პატარძალს პარავდნენ ფეხსაცმელს, რომელსაც უკან უბრუნებდნენ მაღალი გამოსასყიდის ფასად.

მასპინძელი სტუმრების გასართობად იწვევდა ხოლმე ხუმარას, რომელიც იკეთებდა დათვის, ტურის ან სხვა ცხოველის ნიღაბს, დაჯდებოდა სუფრის ბოლოს და ოხუნჯობდა. თუ ვინმე გამოაჯავრებდა, მაშინ მას „დაჰსრომავდა“ (წააქცევდა და ბღუჯავდა). ამ

სეირზე სტუმრები იცინოდნენ[1]. მეტი ეფექტისათვის ხუმარა იცვამდა მატყლით გარეთ შებრუნებულ ქურქს.

ზოგჯერ ხუმარა თოჯინებსაც იყენებდა. ამ უკანასკნელთა უცნაურ და კომიკურ ცეკვა-სიმღერაზე სტუმრები იცინოდნენ. მეტწილად „თოჯინები“ ლაპარაკითა და ქმედებით დასცინოდნენ ხოლმე მამასახლისს, ან ავსა და შეუთვისებელ მეზობელს, ისინი ამხელდნენ უსამართლო ქმედებასა და ა. შ. საყურადღებოა, რომ იმავე მარაქაში, სადაც დასცინოდნენ მამასახლისს, შესაძლოა თვითონ მჯდარიყო, მაგრამ იგი ამას ყურადღებას არ აქცევდა და საწყენად არ იღებდა.

სუფრასთან, იქ, სადაც ნეფე იჯდა, დროდადრო რომელიმე ახალგაზრდა მივიდოდა და წამოიძახებდა: ამა და ამან მოგართვათ ერთი გოზაური ღვინო, ერთი მამალი და დაუმატებდა „ააშენოს სახლი“. ამ შემთხვევაში სტუმრები ახმაურდებოდნენ — „ააშენოს, ააშენოს“. მამალს იქვე კლავდნენ, ღვინოს კი მერიქიფეები ჩამოარიგებდნენ სუფრაზე.

ზოგჯერ მამლის მაგიერ იყო ყოჩი, ან ინდაური, ან მარტო ღვინო და ა. შ. ცხადია, ასეთი საჩუქრის გამოცხადებას მოჰყვებოდა დოლ-ზურნის ტუში.

ხანგამოშვებით რომელიმე მახლობელი გადმოდგებოდა და გამოაცხადებდა, რომ მავანმა და მავანმა ნეფე-დედოფალს ესა და ეს საჩუქარი შიართვა. ამ შემთხვევაშიც ისმოდა „ააშენოს, ააშენოს“ და დოლ-ზურნის ტუში.

სიმღერა და ცეკვა გაუთავებელი იყო: ხორუმის მსგავსად მხრებზე ხელიხელჩაკიდებული ცეკვავდნენ ორ სართულად, შუაში ჩააყენებდნენ ნეფეს და აცეკვებდნენ. ააგდებდნენ ხოლმე ჰაერში სამჯერ და იჭერდნენ.

ამასობაში ღამდებოდა. სტუმრები ნელ-ნელა იშლებოდნენ. ახლობლები და ნეფე-დედოფლის მეგობრები რჩებოდნენ ღამის სათევად. ამით მთავრდებოდა დიდი ქორწილი.

წარსულში ბინის დიდი სივიწროვე იყო. გლეხს ჰქონდა ერთადერთი ოთახი. ისიც მიწური იატაკით (იშვიათად უფრო უკეთესად

---

[1] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

მოწყობილი: ფიცრის იატაკით, ფართო სარკმელებით და ა. შ.). ამ ოთახში ტრიალებდა ყველა — შინაურიც და სტუმარიც. ამიტომ ნეფესა და დედოფალს პირველ ღამეს სხვენში მოასვენებდნენ ხოლმე, აყარზე.

პატარძლის მდადე და ხელისმომკიდეები შეუმჩნევლად აიპარებოდნენ სხვენში, თან აჰყავდათ პატარძალიც, შლიდნენ ლოგინს და შიგ დედოფალს აწვენდნენ. შემდეგ მეგობრები ჩამოდიოდნენ ძირს. ერთ-ერთი მათგანი ყარაულობდა კიბეს, რათა უცხო ვინმე არ ასულიყო, ხოლო მეორე ნეფის ხელისმომკიდეს აცნობდა, რომ პატარძალი დაბინავებულია. ნეფესაც მეგობრები კიბემდე მიაცილებდნენ და ისიც შეუმჩნევლად აიპარებოდა სხვენზე. სხვენის კარებს კეტავდნენ. ზოგჯერ მხიარული ახალგაზრდები, მით უმეტეს შეზარხოშებულნი, სასეიროდ მიადგებოდნენ სხვენის კარებს და დაუწყებდნენ ბრახუნს, რითაც არღვევდნენ ნეფე-დედოფლის მყუდროებას, ამიტომ ნეფის მეგობრები კიბესა და სხვენის კარებს გულდაგულ დარაჯობდნენ დილამდე, სანამ ნეფე ძირს არ ჩამოვიდოდა და მარაქაში არ გაერეოდა. ეს კი ისე უნდა მოეხერხებინა, რომ არავის დაენახა, გარდა მისი მეგობრებისა, რომელნიც კიბესა და სხვენის კარებს დარაჯობდნენ. ამის შემდეგ სხვენის კარებისა და კიბის დარაჯად დგებოდნენ პატარძლის მეგობრები — მდადე და ხელისმომკიდე. პატარძალი შეუმჩნევლად უნდა ჩამოსულიყო და თავისი ადგილი დაეკავებინა (ისევ ფარდის უკან).

დიდი ქორწილის დამთავრების ღამეს „ფხიზლებისათვის" აკეთებდნენ სანაქებო ფლავს. ის, ვინც წინა ღამეს ჯეჯიმზე მიაკერეს, ცხადია, ახალ ანკესზე აღარ წამოეგებოდა. მაგრამ ამ ღამესაც ზოგიერთ გამოუცდელ სტუმარს საწოლზე მიაკერებდნენ, შემდეგ დააფეთებდნენ და სიცილ-ხარხარს დააყრიდნენ.

მეოთხე დღეს იმართებოდა „ფეხზე მდგომელთა" ქორწილი: იმათთვის, ვინც ქორწილის დროს სტუმრებს ემსახურებოდა, მოჰქონდათ საჭმელები. სასმელები, ცვლიდნენ ჭურჭელს, სახლამდე აცილებდნენ შეზარხოშებულსა და მთვრალ სტუმრებს და სხვ. ჩვეულებრივ იყვნენ ხოლმე შემდეგი სახის ფეხზე მდგომელები: „ვარცლზე მდგომელი" — ევალებოდა სტუმრების პურით მომარაგება, „ქვაბზე მდგომელი" — ხორცეულისა და სხვა სანოვაგის

ძიმწოდებელნი, „ქვევრზე მდგომელის“ ვალდებულება იყო სუფრაზე სასმელის დროულად მიტანა. მათ ბევრი თანაშემწეები ჰყავდათ. ისინი სტუმრებთან იდგნენ და აწვდიდნენ თუ რამ საჭირო იყო, ან მიჰქონდათ, რასაც სტუმარი მოითხოვდა და ა. შ. იყვნენ ფხიზელი ჭაბუკები, რომელნიც მთვრალსა და შეზარხოშებულ სტუმრებს სახლამდე აცილებდნენ.

ფეხზე მდგომელთა ქორწილში მეტწილად ახალგაზრდები იყრიდნენ თავს. ამ დროს უკრავდნენ ჩონგურს ან სალამურს, იშვიათად ზურნასა და დოლს. ქალების მარაქაში უკრავდნენ გარმონს, ზოგჯერ დაირასაც. სიმღერა და ცეკვა თავისი რიგით სრულდებოდა. ცხადია, ნეფე ისევ თავის ადგილას იჯდა, მაგრამ მის წინ „შახები“ აღარ ელაგა. ამ დღეს ნეფეს ცოტა ღვინის დალევის უფლება ეძლეოდა.

ქეიფი ზოგჯერ შუაღამემდე გრძელდებოდა, რიგ შემთხვევაში, ზოგი მათგანი ათენებდა კიდეც. ქორწილი მთავრდებოდა და სტუმრებიც შინ მიდიოდნენ.

ქორწილის დამთავრების შემდეგ „გამოტანებულები“ ინაწილებდნენ მორჩენილ საჩუქრებს. მაჭანკალს აძლევდნენ ერთ მანეთს, ხოლო მდადეს — ორ მანეთს და სანოვაგით დატვირთულ სავსე ხურჯინს. იგი ცხენზე ჯდებოდა და ეზოდან გადიოდა. მის კვალს მიჰყვებოდნენ გამოტანებულებიც. ამ დროს ისროდნენ თოფს, რაც ქორწილის დამთავრების მანიშნებელი იყო.[1]

ქორწილის დროს ოჯახის უფროსი მეტწილად სტუმრებს შორის დადიოდა, ათვალიერებდა და ამოწმებდა საჭმელი ან სასმელი ხომ არსად აკლდა, თუ ასეთი შემთხვევა იყო, იგი მაშინვე განკარგულებას იძლეოდა დანაკლისის შესავსებად და სხვ. ამავე დროს იგი თვალყურს ადევნებდა იმასაც, სადმე უწესრიგობა და ჟივილ-ხივილი ხომ არ იყო, ვინმემ სმას ხომ არ გადააჭარბა და ოჯახის ტრადიცია ხომ არ დაარღვია. ასეთ შემთხვევაში იგი წესრიგს ამყარებდა.

ქეიფის, მით უმეტეს ქორწილის, დროს, ინგილოები ბევრ ღვინოს სვამდნენ, მაგრამ დათრობა არ იყო მიღებული. თუ მასპინძელი

---

[1] ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

რომელიმე სტუმარს შეატყობდა, რომ იგი დათვრა, გადაჭარბებულად ხუმრობს და ზედმეტს ლაპარაკობს, მაშინ მასპინძელი ეტყოდა, შენ ღვინო თავში შეგიჯდა და გეყოფა, აღარ დალიო[1]. თავის მხრივ, სტუმარი მასპინჩელს პირობას აძლევდა, რომ ღვინოს აღარ დალევდა, მაგრამ, თუ პირობას დაარღვევდა და ღვინის სმას განაგრძობდა, თანაც ოხუნჯობას არ მოიშლიდა, მაშინ მასპინძელი მას სუფრიდან აძევებდა და სახლში გზავნიდა. ისიც ოჯახის უფროსს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ მიზეზის გამო მასპინძელსა და სტუმარს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილიყოს.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მთვრალ სტუმარს მასპინძელი სახლში მარტო არ უშვებდა. მას ატანდა ახალგაზრდას, რომელიც ფხიზელი იყო (ერთ-ერთი ფეხზე მდგომელთაგანი). მას მთვრალი სტუმარი სახლამდე უნდა მიეყვანა, პატრონისათვის ჩაებარებინა, უკან გამობრუნებულიყო და მასპინძლისათვის მოეხსენებინა, რომ მისი დავალება შესრულებულია. თუ სტუმარი იმდენად მთვრალი იყო, რომ სიარული არ შეეძლო და ბარბაცებდა, მაშინ მას ურემზე დააწვენდნენ და ისე მიაცილებდნენ სახლამდე.

როგორც ჩანს, ეს ტრადიციაც ძველი, დუხჭირი ცხოვრების გადმონაშთია: მთვრალ კაცს რომ სადმე არ ჩასძინებოდა და რომ მტერს ადვილად არ გამოეჭრა ყელი. ეს კი მძიმე სამგლოვიარო ტვირთად დააწვებოდა ქორწილისა თუ ლხინის პატრონს. შეიძლება მთვრალი სულაც სადმე ხრამში გადავარდნილიყო ან გზაში წაქცეულიყო და დამარცხებულიყო. ცხადია, ესეც სასიამოვნოდ არ დარჩებოდა მასპინძელს.

ამიტომ იყო, რომ ქორწილში (თუნდაც სხვა სახის წვეულებაში) არასოდეს ატეხილა შეხლა-შემოხლა, არ მომხდარა ჩხუბი, რაშიც რასაკვირველია, პირველ რიგში დამსახურება მიუძღვის მასპინძელს, რომელიც დროულად იცილებდა თავიდან მოსალოდნელ უსიამოვნებასა და უკმაყოფილებას.

ქორწილის დამთავრების მეორე დღეს, დილითვე (ზოგჯერ ექვს საათზე) რომელიმე მეზობელთაგანი ნეფეს თავისი მეჯვარეებითა და მეგობრების თანხლებით, აგრეთვე ყველა იმას, ვინც

---

[1] ზ. ედილი, დასახ. ნაშ., გვ. 107.

მთელ ღამეს ფხიზლობდა, გადაიპატიჟებდა და უწყობდა უხვ სუფრას — ხდიდნენ ახალ ქვევრს, მიართმევდნენ ნაირგვარ საჭმელებს, თაფლს, ბაქმაზს, ტკბილეულს (მეტწილად კამფეტებს), ხილსა და სხვ. ნეფეს უსურვებდნენ ბედნიერებას, ტკბილად და თეთრად დაბერებას, ბევრი შვილის გაზრდას. პატარძალს თავის წილს უგზავნიდნენ სახლში. მისი გადაპატიჟება არ იყო მიღებული.

ქორწილის შემდეგ, პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში, პატარძალი კვლავ ფარდის უკან იჯდა და არაფერს აკეთებდა, შემდეგ კი საერთო საოჯახო საქმიანობაში ებმებოდა.

პატარძალს უფლება არ ჰქონდა მამამთილს დალაპარაკებოდა წლების მანძილზე, ხოლო დედამთილს — ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ, თუ ოჯახში არავინ იყო, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა დედამთილთან საუბარს, მაშინ ეს უმძრახობა მალე თავდებოდა. პატარძალს, აგრეთვე, უფლება არ ჰქონდა 10-15 წლის განმავლობაში დალაპარაკებოდა ქმრის უფროს ძმებსა და დებს, მამიდებს, დეიდებს, ბიძებს, ბიძაშვილებს. მათ შორის ახსნა-განმარტება მარტივი პანტომიმური საშუალებებით ხდებოდა, ხშირად კი უმცროსი მულის ან მაზლის მეშვეობით.

პატარძალს უფლება არ ჰქონდა აღნიშნულ პირებთან დაჯდომის, მით უმეტეს, მათთან საჭმლის ჭამისა. მას, ჩვეულებრივ, დასვამდნენ სპეციალური ფარდის იქით, დედამთილის ზურგს უკან.

ქორწილიდან 40 დღის (ზოგი ცნობით ორი-სამი თვის) შემდეგ სიმამრი პატიჟებდა სიძეს თავისი მეუღლითურთ; მიპატიჟების გარეშე სიმამრის ოჯახში მისვლის უფლება არ ჰქონდათ. მიწვევის გარეშე მისვლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა[1].

სიმამრი მართავდა დიდ წვეულებას: პატიჟებდა სიძესა და პატარძალს, მათ მეგობრებსა და ამხანაგებს, მძახლებს, ნათესავებს, მეზობლებსა და სხვ. მასპინძელი კლავდა დიდ ყოჩს (ზოგჯერ ძროხას), ქათმებს, ინდაურს, ამზადებდნენ ნაირგვარ საჭმელს (პირველ რიგში ფლავს, ტოლმასა და სხვ.), აცხობდნენ პურს, წითელ ლავაშებს, ნაზუქებს, ქადებს, ამზადებდნენ ჰალვას, მოჰქონდათ ტკბილეული, თაფლი, ბაქმაზი, ნაირგვარი ხილი, ღვინო. სიძეს მიართმევდნენ განსაკუთრებული წესით დამზადებულ

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

ერბო-კვერცხს, ზოგჯერ ერბო-კვერცხში ჩახრაკულ ქათმის ტაბაკას.

სიმამრის ოჯახში სიძეს მიჰქონდა ქიშმიში, შაქარი და სხვა ტკბილეული, როგორც ჩანს, იმის საჩვენებლად, რომ მას ოჯახში შეაქვს სიტკბოება და სიამტკბილობა. ლხინი ხშირად მთელი დღე ან მთელი ღამე გრძელდებოდა.

ტრადიციულად ქალებისა და კაცების მარაქები ცალ-ცალკე იმართებოდა. სიძეს მარაქის ბოლოში დასვამდნენ ხოლმე. იგი ჩონგურზე უკრავდა ან მღეროდა, თუ, რასაკვირველია, დაკვრა ან სიმღერა იცოდა.

სიმამრი ლხინში პატიჟებდა კარგ მეჩონგურესა და მომღერალს. მასპინძლის ნებართვის გარეშე სხვებს დაკვრისა და სიმღერის უფლება არ ქონდათ, გარდა სიძისა.

ასეთი „დაპატიჟების“ შემდეგ სიმამრის ოჯახის კარი ღია იყო სიძე-პატარძლისათვის და სურვილისამებრ შეეძლოთ მისვლა.

ქორწილიდან ორიოდე თვის შემდეგ ახლო ნათესავები ან მეზობლები პატიჟებდნენ ხოლმე უბნის პატარძლებს და უმართავდნენ მათ კარგ წვეულებას. იყო დაკვრა და ცეკვა-თამაში. მეტწილად უკრავდნენ გარმონს, ან აკორდეონს, ჩონგურს, სალამურს, იშვიათად ზურნასა და დოლს. გარმონსა და აკორდეონზე უკრავდნენ ქალები (პატარძლები), მღეროდნენ მხოლოდ მამაკაცები.

ამ სტუმრობაზე პატარძლებს მიჰქონდათ თავიანთი მოქსოვილი მოქარგული წინდები, ტოლაღები, ქალამნის შესაკრავი ზონრები, აბგები, ქისები და სხვ. ყოველივე ამას აწყობდნენ ტაბაკზე, რომელსაც დებდნენ ოჯახის უფროსის წინ (ზოგჯერ იყო რამდენიმე ტაბაკი). დიასახლისი აცხადებდა, ვინ რომელი საჩუქარი მოიტანა. მათ მომტანებს მასპინძელი ასაჩუქრებდა ფულით (20—50 კაპიკით).

მას შემდეგ, რაც ინგილოებს შორის სწავლა-განათლებამ მტკიცედ გაიდგა ფესვები, ქორწილის ზემოთ განხილული ტრადიცია მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა, ნიშნობაც პრაქტიკულად ხდება. ახალგაზრდები თვითონვე წყვეტენ ოჯახის შექმნის საკითხს, მშობლებსაც მეტი გზა არა აქვთ და ეთანხმებიან გადაწყვეტილებას.

ქორწილიც ერთ დღეს გრძელდება.

გამომცემლობის რედაქტორი მ. გოგოლაძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ე. ხურცია

გადაეცა წარმოებას 28.07.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.90.
საბეჭდი ქაღალდი 60×84. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 2.5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,94.
შეკვეთა № 901 ტირაჟი 2300
ფასი 30 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

К308.877
3